აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№99 (25.123) 17 ნოემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვლჭყაპი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, შიდამთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

თორნიკე რიჟვაძე: მომავალი წლის გეგმები და ამოცანები კიდევ უფრო ამბიციურია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სამინისტროებში სამუშაო თათბირები გამართა და 2024 წლის პრიორიტეტებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების ეფექტიანად განხორციელებაზე ისაუბრა

აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 100 მლნ ლარით გაიზარდა და 700 მილიონ ლარს გადააჭარბა, ნაერთი ბიუჯეტი მილიარდ ლარს მიუახლოვდა.

გაიზარდა როგორც სამინისტროების, ისე მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა.

„2024 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი ყველა მიმართულებით იზრდება. მომავალი წლის გეგმები და ამოცანები კიდევ უფრო ამბიციურია. წელს პირველად, ნაერთი ბიუჯეტი მიუახლოვდა მილიარდ ლარს. საკუთრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 700 მილიონ ლარზე მეტია. ბოლო 4 წლის განმავლობაში გაორმაგდა ბიუჯეტი და შესაბამისად, გაორმაგდა სამინისტროების დაფინანსებაც. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ყველა პროექტის ეფექტიანად განხორციელება“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, 2024 წელს განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირება, წყალმომარაგება, „ოცნების ქალაქის“ მეორე ეტაპის მშენებლობა, მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება, გოდერძის და გომარდულის ახალი საბაგირო ხაზის მშენებლობის პროექტი, ჭვანის და მაჭახელას „ეთნოსოფლის“ განვითარების პროექტი. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 35 მლნ ლარი დაიხარჯება.

2024 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი 11 მლნ ლარით იზრდება და 51 მლნ ლარს გადააჭარბებს. შედეგად, გაიზრდება გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება, ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტთა სამედიცინო მომსახურება, ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსება და სხვა. ახალი პროექტები განხორციელდება სამედიცინო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართულებით.

იზრდება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტიც. გაიზარდა ციტრუსის სუბსიდირება, გაგრძელდება საოჯახო მეურნეობების ხელშეწყობის ფარგლებში მეწარმეების დაფინანსება, მიწის უფასოდ დამუშავება. იგეგმება პროექტების განხორციელება ეკოტურიზმის და აგრომეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით, განხორციელდება სატყეო რეფორმა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტი 14,9 მლნ ლარით გაიზარდა და 132 მლნ ლარი შეადგინა. განხორციელდება ახალი საგანმანათლებლო სივრცეების მშენებლობა, გაგრძელდება სტუდენტთა და პედაგოგთა მხარდაჭერის პროგრამები. ასევე, იზრდება სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ბიუჯეტი, დაიწყება დამატებითი სასწავლო შენობებისა და სტუდენტთა საცხოვრებელი კამპუსების მშენებლობა. 1500 სტუდენტი დაფინანსდება სტუდენტთა დახმარების, საზღვარგარეთ სწავლების და სტაჟირების პროგრამის ფარგლებში. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ბიუჯეტი 37 მლნ ლარი იქნება, რომლის ფარგლებშიც 95 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება, მათ შორის, ბათუმში 9 საჯარო სკოლის ძირითადი ან დამატებითი შენობა აშენდება.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აჭარის 2024 წლის ბიუჯეტში რამდენიმე ინიციატივას წარადგენენ

ხატია იაშვილი 555 18 48 88

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, მათ მიერ შედგენილი ბიუჯეტი რეგიონის მთავარ გამოწვევებს პასუხობს. მათივე განცხადებით, ბიუჯეტი რეგიონში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს

„როდესაც ვხედავთ, რომ 140 ათასზე მეტი ადამიანია რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში, სიღარიბეშია და შიმშილობს 12 ათასზე მეტი ბავშვი, როცა ახალგაზრდები ტოვებენ ქვეყანას და მიდიან უცხოეთში სამუშაოდ, ამ დროს ხელისუფლება გვეუბნება, რომ არნახული ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რეგიონში ხალხი კარგად ცხოვრობს და გადაწყვიტეს ბიუჯეტი მოახმარონ მათი ხელფასების ზრდას, ავტოპარკს, მივლინებებს და კომფორტს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით წარმოდგენილ ბიუჯეტს, როცა არცერთი სიტყვა არ არის ნახსენები პრიორიტეტების დოკუმენტში სიღარიბის დაძლევაზე. ამიტომ წარვადგინეთ წინადადებები, რომელიც პასუხობს მთავარ გამოწვევებს: რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გათვალისწინებული იქნას სოციალური მხარდაჭერის პროგრამა: 30 000 ქულამდე ერთ ოჯახზე - 600 ლარი თვეში, 30 001-57 000 ქულამდე ერთ ოჯახზე - 500 ლარი, 57 001-70 000 ქულამდე ერთ ოჯახზე - 400 ლარი თვეში, სოციალურად დაუცველ 3 წლამდე ბავშვებისათვის (70 000 ქულამდე) ბავშვთა კვებისა და მედიკამენტების 1000-ლარიანი ვაუჩერი; სოციალურად დაუცველ არასრულწლოვან ბავშვებზე (70 000 ქულამდე) დამატებითი სოციალური დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით; 200 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის სუბსიდირების პროგრამა, თითოეულ სტუდენტზე თვეში 500 ლარის ოდენობით. ასევე, წარვადგინეთ ინიციატივები, რომელიც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და დაასაქმებს მოსახლეობას. მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან, გაითვალისწინოს ბიუჯეტში ჩვენ მიერ წარდგენილი ინიციატივები და ნაცვლად მაღალი თანამდებობის პირებისთვის კომფორტის შექმნისა, საბიუჯეტო თანხები მოხმარდეს რეგიონისა და მოსახლეობის მთავარი გამოწვევების დაძლევას და რეგიონის განვითარებას“, - აცხადებენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რას ფიქრობენ პოლიტიკოსები საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

საარჩევნო ბარიერი არ დაიწევა და პარტიებს 2%-იანის ნაცვლად, ისევ 5%-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ. შარშან ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებდა, საარჩევნო ბარიერი 2%-მდე დაიწევდა. ვინაიდან შარშან ქვეყანას კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭა, ხელისუფლებამ პირობა უკან წაიღო

დღეს მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ ოპოზიციის მოთხოვნა საარჩევნო ბარიერის შემცირებაზე, წარმოაჩენს მხოლოდ ოპოზიციის სისუსტეს და უსუსურობას. ხელისუფლების თქმით, ბარიერის დაწევის შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტ რადიკალ და დესტრუქციულ ჯგუფს მიეცემა საშუალება, რომ პარლამენტი გადააქციოს დაპირისპირების პოლიგონად.

„ის, რომ პოლიტიკური პარტიები აქტიურობენ საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, მიუთითებს ერთ რამეზე - იმდენად მძიმე მდგომარეობაა ოპოზიციურ ფლანგზე, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვის რესურსი არ გააჩნიათ. ერთი მხრივ, გვესმის მათი ომახიანი ტონი, რომ ხელისუფლებაში მოდიან და ამასთანავე, ჩვენ გვთხოვენ, ბარიერი დავუწიოთ, რომ იქნებ, როგორმე გადალახონ და შეძლონ პარლამენტში შესვლა. ეს მეტყველებს, რამდენად უსუსურ მდგომარეობაში არიან დღეს მთელი რიგი ოპოზიციური ჯგუფები, მათ საარჩევნო ბარიერის გადალახვის რესურსიც კი არ გააჩნიათ“, - განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა.

მმართველ პარტიაში კეთდება განცხადებები, რომ ბარიერთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გადახედვა არ განიხილება.

„არ ვაპირებთ ამის გადახედვას. ხომ აქვთ პრეტენზია და ამბობენ, რომ მხარდაჭერა გვაქვს, ძლიერი პოლიტიკოსები ვართო. არის 5%-იანი ბარიერი და გადალახონ. თუ 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავ, რა პრეტენზია გაქვს პოლიტიკოსობაზე? ეს ბარიერი დარჩება და შესაბამისი პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები მიიღებენ ხმებს იმის მიხედვით, თუ ვის როგორი მხარდაჭერა აქვს საზოგადოების მხრიდან“, - აცხადებს კახა კალაძე. ოპოზიციის აზრით კი „ქართული ოცნება“ არის „გადამგდები“ და როგორც ადრე, ახლაც არ ასრულებს ხალხისთვის მიცემულ პირობას. მათი თქმით, მსგავსი რამ პირველად არ ხდება და სიტყვის გატეხა არის „ქართული ოცნების“ სტილი.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით და როგორია მათი პოზიცია?

ირაკლი თავდგირიძე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

- საარჩევნო ბარიერი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით. დღეს არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა საიმისოდ, რომ შეცვალოს კონსტიტუცია და 5%-იანი ბარიერი დასწიოს, შესაბამისად, არ მესმის, როგორ უნდა დაიძრას პროცესი ან ეს მმართველი ძალის პასუხისმგებლობა რატომაა? ოპოზიციას შეუძლია, თვითონვე დაიინიციროს კონსტიტუციის ცვლილების პროექტი და დაძრას პროცესი. ოპოზიციის მხრიდან არჩევნებამდე წინასაარჩევნოდ ბარიერის დაწევაზე აპელირება ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მათ არ აქვთ მხარდაჭერა საზოგადოებისგან. ევროკავშირის რეკომენდაცია ითხოვს გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან არჩევნებს, რაც საარჩევნო ბარიერის დაწევის გარეშეც არის შესაძლებელი. 5%-იანი ბარიერი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მანდატი მიენიჭოთ იმ პარტიებს, რომლებსაც აქვთ მაღალი ნდობა და ლეგიტიმაცია საზოგადოებისგან.

ვაშა დარჩია, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“:

- საარჩევნო ბარიერის საკითხი „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციურ პარტიებთან სავაჭრო ინსტრუმენტად აქვს დატოვებული. ჩვენ ყოველდღიურად ვძლიერდებით და ბარიერის პრობლემა არ გვაქვს, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ხმები არ დაიკარგოს. გახსოვთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 20%-ზე მეტი ხმებისა დაიკარგა 5-პროცენტიანი ბარიერის გამო, შესაბამისად, დაბალპროცენტიანი ბარიერი იქნება პლურალისტური პარლამენტის წინაპირობა.

კახა მიქელაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

- მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება, ხელისუფლებას დილემის წინაშე აყენებს, ამის მიზეზი კი საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული უნდობლობაა. თუ გადავხედავთ განვლილი არჩევნების შედეგების დინამიკას, ვნახავთ, რომ ყოველ მომდევნო არჩევნებზე ხელისუფლებას კლება აქვს, ჩვენ (ენმ) კი მზარდი ტენდენციით გამოვირჩევით. ვიცით, რომ ქვეყანაში მოქმედებს 5%-იანი ბარიერი, რაც პოლიტიკურ პარტიათა გამსხვილებას უნდა ემსახურებოდეს, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტი წარმოადგენდეს ყველა სახის ამომრჩევლის ნებას, რაც მრავალფეროვანს გახდის საკანონმდებლო ორგანოს. შესაბამისად, ამ საკითხის შეფასება არაერთგვაროვანია, ამიტომ ის მიღებული უნდა იყოს კონსენსუსის საფუძველზე, რომელშიც ყველა კვალიფიციური პარტია და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მქონე ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას. ბარიერის დაწევაზე საუბრის პროცესში საყურადღებო იქნება ხელისუფლების პოზიციონირება, რადგან ისინი ახერხებენ, პატარა ინტერესჯგუფების მეშვეობით, სასურველის გახმაურებას, რაც არაერთხელ ვიხილეთ. გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები აჭარაში. ჩვენთან მოქმედებს ბუნებრივი ბარიერი უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის რაოდენობიდან გამომდინარე, ამიტომ აქ ბარიერის დაწევა გამორიცხულია. ამ მოცემულობას მმართველი პარტია სათავისოდ იყენებს, ორი პარტიის გარდა, სხვებს უჭირთ ბარიერის გადალახვა და ვღებულობთ არასამართლიან სურათს: დაკარგული ხმების განაწილების მეშვეობით, ოპოზიციური ხმების მითვისებას ახერხებს ხელისუფლება. ჩვენ, ენმ-ს გვექნება ინიციატივა, რომელიც ამ მანკიერებას გამოასწორებს და სამართლიანი წესით არჩევნების ჩატარების საშუალებას მოგვცემს. ამ ინიციატივას უახლოეს ხანში გავაცნობთ საზოგადოებას.

გიორგი ფუტკარაძე, „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრი:

- იქიდან გამომდინარე, რომ ბარიერი რჩება მაღალი, პარტიებს ეკრძალებათ ბლოკებში გაერთიანება და იძულებულნი არიან, ან შეერწყან რომელიმე მსხვილ პარტიას, ან გაერთიანდნენ ახალი პარტიის სახით, რომ დაკარგონ ინდივიდუალიზმი. ამით ჩვენ მივიღებთ ისევ ნაცქოცურ პარლამენტს და დავკარგავთ ძალაუფლების გადანაწილების მინიმალურ შანსსაც.

ამბები

აჭარის საკანონმდებლო ორგანომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის - „ვიზიტების“ მონაწილე სტუდენტებს, „რუსთაველის“ კლუბის წევრებს უმასპინძლა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ახალგაზრდებს საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბოლო წლებში ინსტიტუციური გაძლიერებისა და ღია მმართველობის მექანიზმების დანერგვის კუთხით გატარებული რეფორმები გააცნო. კლუბის წევრებს გადაწყვეტილების მიღებაში მათი ჩართულობის, სამოქალაქო აქტიურობის, პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის როლზე, ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებსა და არსებულ გამოწვევებზე ესაუბრა.

* * *

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მეხუთე ფაზის სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც KfW-ის შეღავათიანი სესხისა და გრანტის ფარგლებში ხორციელდება, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და საკონსულტაციო კომპანია „მაქსის“ მენეჯერმა მატიას ჰიტცელმა თანმხლები ზომების საკონსულტაციო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების თანახმად, ყველა საკონსულტაციო აქტივობა პროექტის აღმასრულებელ სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდება. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რისთვისაც 80 მილიონი ევროა გათვალისწინებული, ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის, ა და ბ სატუმბი სადგურების გაფართოება, აეროპორტის ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალარინების სისტემების მოწყობა, ინჯალოს წყლის სამარაგო რეზერვუარის წყალსადენისა და სასმელი წყლის მკვებავი ხაზის მშენებლობა, მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა, ჩაქვისწყლის სათავე ნაგებობისა და ჩაქვის გადამცემი მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია, ხელვაჩაურისა და აეროპორტის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა იგეგმება.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სანიტარიის და ფიტოსანიტარიის პროექტის მენეჯერებს ბრენდტ სიგელს, ალექსის ჰიზერს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლებს საქართველოში დემნა ძირკვაძეს და გოჩა შაინიძეს შეხვდა. ინფორმაციას ამის შესახებ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სანიტარიის და ფიტოსანიტარიის პროექტი მხარს უჭერს სხვადასხვა საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამას და აქტივობას როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ასევე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისთვის. პროექტს ახორციელებს „მომავლის ფერმერი“ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრთან თანამშრომლობით.

* * *

ბათუმი ტრადიციული სოფლის ტურიზმის ფესტივალისთვის ემზადება - 25-26 ნოემბერს „ევროპის მოედანი“ „განდაგანას“ უმასპინძლებს. აქ მოსულთ შესაძლებლობა ექნებათ, ორი დღის განმავლობაში, ქალაქიდან გაუსვლელად იმოგზაურონ აჭარულ სოფლებში, გაეცნონ იქაური კულტურას, კულინარიას, ტრადიციებსა და რეწვის ნიმუშებს. მრავალფეროვანი პროგრამა ითვალისწინებს ქორეოგრაფიულ და კულინარიულ მასტერკლასებს, სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებებს, ბენდების და ფოლკლორული ჯგუფების კონცერტს. ფესტივალზე დამსწრეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩურჩხელის ამოვლების, ჭაჭის გამოხდის, საწნახელში ყურძნის დაწურვის პროცესში მიიღონ მონაწილეობა და შეიქმნან ამაღლებული განწყობა. „განდაგანა“ 2015 წლიდან აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით იმართება, რომლის მიზანი აჭარული სოფლის პოპულარიზაცია და სოფლად ტურიზმის სტიმულირებაა.

* * *

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან პირველი შეხვედრა გამართა. უწყების ინფორმაციით, მერმა ახალგაზრდებთან მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ ისაუბრა, საბჭოს წევრებს მუნიციპალიტეტის საქმიანობით დაინტერესებისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, ერთობლივი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საბჭოს ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა მაქსიმალურად სწორად განისაზღვროს მომავალი თაობისთვის საჭირო სტრატეგია.

* * *

ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. როგორც მერიაში აცხადებენ, კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, იქმნება თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურა, ეწყობა სხვადასხვა თემატური პარკი. სრულად გარემონტდება ამფითეატრი, შადრევნები. ცენტრალური პარკი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დასასვენებელი ადგილი გახდება ადგილობრივებისა და სტუმრებისთვის. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად 6 მილიონ ლარამდე იხარჯება და გულისხმობს მთლიანად პარკის მოდერნიზაციას.

* * *

პროგრამის „ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“ ფარგლებში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კულტურის ცენტრების წარმომადგენლებს ცენტრებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტები გადასცა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, პროგრამის მიზანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და პოპულარიზაციაა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, ანსამბლების სრული აღჭურვისთვის პროგრამა მომავლშიც გაგრძელდება. ინსტრუმენტების შესაძენად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 11 540 ლარი დახარჯა.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის გალერეაში 17 ნოემბერს, 17 საათზე საშემოდგომო გამოფენა გაიხსნება. მასში ადგილობრივ მხატვრებთან ერთად, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ლიეტუვის, ლატვიის და უკრაინის მხატვრები მონაწილეობენ. - გამოფენა საერთაშორისოა და მისი მიზანია როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნების მხატვართა წარმოჩენა. დასწრება თავისუფალია, - გვითხრა აჭარის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და 21 მილიონ ლარს აღემატება. აქ ორი ახალი პროგრამის ამოქმედებასაც აპირებენ. ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, სოფლებში, მოსახლეობის წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო. ბარათაულის ადმინისტრაციულ ერთეულში 4 სოფლის წარმომადგენლები მივიდნენ შეხვედრაზე. მათ 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პრიორიტეტები შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ და სხვა ხელმძღვანელებმა გააცნეს. მოსახლეობამ რიგი წინადადებები და სურვილები გამოთქვა.

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩანჩხალოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, 3,5კმ სიგრძის მონაკვეთზე თანამედროვე სტანდარტების ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყო, პროექტის ფარგლებში, ხელოვნური და დამცავი ნაგებობები აშენდა. „აღნიშნული გზა ტურისტული მნიშვნელობის არის და გომარდულის საკურორტო ზონას, ბარათაულის თემს, სოფელ სხეფსა და თერნალს უკავშირდება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებისკენ სწრაფვა ჩვენგან რომ განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, არახალია, ეს ძალისხმევა კი, უპირველესად, დემოკრატიული, ევროპული ყაიდის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას გულისხმობს, სადაც თითოეული ადამიანის უფლებები და მოვალეობები დაცული და განსაზღვრულია. ამ მხრივ, ევროკავშირი თავისი რეკომენდაციებით გვეხმარება დემოკრატიის დამკვიდრებაში, 9 ახალი პუნქტის განსაზღვრა სწორედ ამ მიზნის გამოხატულებაა, ყოველ შემთხვევაში, ასე აღნიშნავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. როგორც ცნობილია, ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს. ეს უდავოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან უარის შემთხვევაში რუსეთს გაუადვილდებოდა საქართველოს რუსულ ორბიტაში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის აქტუალურია ევროკომისიის სამომავლო ვერდიქტი, რომელიც 15 დეკემბერს გახმოვანდება. სწორედ ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვიზიარებს თავის თვალსაზრისს საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ასისტენტი პროფესორი გიგა შარტენაძე

- ევროკომისიამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით, ეს რა ფაქტორებმა განაპირობა?

- საქართველო კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდა თავის ისტორიულ მიზანს - სრულფასოვნად ვიყოთ ინტეგრირებული ევროპულ ოჯახში. რაც შეეხება კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს რეკომენდაციას, აქ, ძირითადად, სამ ფაქტორს გამოვყოფდი: პირველი - ეს არის ქართველი ხალხის გაცხადებული ურყევი ნება და სურვილი, მეორე - რუსეთის შეჭრა უკრაინაში, რამაც დააჩქარა გაფართოების საკითხი და მესამე - რაც აერთიანებს როგორც ევროპას, ისე დასავლეთს ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობაში, არის გეოპოლიტიკური ფაქტორები.

- ევროკომისიის ზემოაღნიშნული ვერდიქტი იყო თუ არა გეოპოლიტიკური გადაწყვეტილება რუსეთის საწინააღმდეგოდ?

- ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ევროკომისია, ევროსაბჭო და სხვა ევროპული ინსტიტუტები საქართველოსთან, უკრაინასთან თუ მოლდოვასთან დაკავშირებით მოქმედებენ სწორედ გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი კი გულისხმობს ჩამოთვლილი ქვეყნების ინსტიტუციურად გაძლიერებას, სასამართლოს დამოუკიდებლობას, თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ საჯარო უწყებებს, ეკონომიკურად გაძლიერებულ სახელმწიფოს, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის გავლენისა და ზემოქმედების შესუსტების წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გადაწყვეტილება გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა.

- ევროკომისიის 9 ახალი რეკომენდაციის შესახებ რა შეიძლება ითქვას?

- ჩამოთვლილი 9 საშინაო დავალებიდან არც ერთი არის ახალი. გასულ წელს მოცემული 12 რეკომენდაციიდან შესრულებულად ჩაითვალა მხოლოდ სამი და სწორედ ამიტომ, ჩვენ კვლავ ძველი საშინაო დავალების შესრულება გვიწევს, ოღონდ ახალი ვადებითა და პერიოდის გათვალისწინებით. კვლავ აქტუალურია დეპოლარიზაციის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, ანტიკორუფციული სააგენტოს, დეოლიგარქიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების საკითხები. სამუშაო ძალიან ბევრია, ხოლო დრო - ძალიან ცოტა. ფაქტობრივად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა მივიჩნიოთ ამ 9 რეკომენდაციის შესრულების დედლაინად, რათა გაიხსნას ჩვენთვის მოლაპარაკების პროცესი, როგორც ეს მოხდა უკრაინის და მოლდოვის შემთხვევაში.

- „ეს არის პასუხი - რუსეთს, ეს არის ჩვენი პასუხი - ოკუპაციას“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. განვავრცოთ ეს საკითხი...

- პრეზიდენტის ეს განცხადება პასუხობს კითხვას - გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა ხომ არ იმოქმედა ამ პროცესზე. დიახ, სწორედ რომ ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო ნიშნავს დასუსტებულ რუსულ გავლენას ჩვენს ქვეყანაში, რაც, ადრე თუ გვიან, ოკუპაციასაც დაასრულებს.

- კანდიდატის სტატუსი რა შესაძლებლობებს უხსნის ჩვენს ქვეყანას?

- პირველი - კანდიდატის სტატუსი არის გაწევრიანებაზე მოლაპარაკების დაწყების წინაპირობა, რაც უდიდესი მნიშვნელობის გახლავთ და მეორე - სტატუსის მონიჭება ჩვენი ქვეყნის სამოქალქო საზოგადოების, განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, ახალგაზრდული პოლიტიკის, მცირე და საშუალო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის, მწვანე პოლიტიკის, გარემოს დაცვის, განახლებადი და ეკომეგობრული გარემოს ხელშეწყობის, ღია მმართველობის პრინციპის დანერგვის და ასე შემდეგ, გაორმაგებულ მხარდაჭერას გულისხმობს, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

- ცხადია, რუსეთი უკმაყოფილოა ევროკომისიის ამ გადაწყვეტილებით. რა შეიძლება კრემლმა ჩვენს საწინააღმდეგოდ მოიმოქმედოს?

- კრემლის ქმედებების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა იმაზე მეტი რა უნდა მოხდეს, რაც არის ოკუპაციის თუ მცოცავი ოკუპაციის შედეგები. იმაზე მეტი რა უნდა გააკეთოს, რასაც რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ჰქვია, რაც უდიდესი გამოწვევაა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. რუსეთი ცდილობს ყველა ხერხით და რესურსით საქართველოზე ზეგავლენას, მათ შორის, ეკონომიკური მიმართულებით დამოკიდებულებაზეც შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება.

- ჯერჯერობით ჩვენ ჩამოვრჩებით უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით, რას ფიქრობთ?

- ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას ბევრად მეტი პოტენციალი და შესაძლებლობა აქვს ე.წ. ტრიოს ქვეყნებს შორის, იქნება ეს გატარებული თუ გასატარებელი რეფორმები, თუმცა ჩვენი ქვეყნის ორაზროვანმა პოზიციებმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ეს პროცესი უფრო პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანა.

- 15 დეკემბრისთვის რა მოლოდინი გაქვთ?

- პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია - ევროკომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია, საბოლოო ვერდიქტით, ევროსაბჭო კანდიდატის სტატუსს მიანიჭებს საქართველოს.

- კვლავ გრძელდება მცოცავი ოკუპაცია საქართველოს წინააღმდეგ, ეს რისი მანიშნებელია?

- პირველ რიგში, ვუსამძიმრებ სრულიად ერს კიდევ ერთი ქართველის, ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული თამაზ გინტურის მკვლელობის გამო, ეს სწორედ მცოცავი ოკუპაციის უმძიმესი შედეგია. გვიკლავენ თანამოქალაქეებს და, სამწუხაროდ, ამის არც შეჩერების და არც მკვლელების დასჯის ბერკეტი არ გაგვაჩნია. მიმაჩნია, რომ დეოკუპაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით უნდა გადაიხედოს პროტოკოლი და უფრო ქმედითი ნაბიჯები გავატაროთ, რათა თავიდან ავიცილოთ ოკუპაციის უმძიმესი შედეგები და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მკვლელობა ოკუპანტების მხრიდან.

- დაბოლოს, ევროპულ ერთიან სივრცეში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად მნიშვნელოვანია?

- თუ გვინდა, ვიცხოვროთ ჩვენს შვილებთან და მომავალ თაობასთან ერთად ეკონომიკურად გამართულ, ძლიერ, თავისუფლების პრინციპებზე დაფუძნებულ ქვეყანაში, მაშინ ეფექტური, გამართული და დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტებით ევროკავშირში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სწორი და უალტერნატივო გადაწყვეტილებაა.

ენდობიან თუ არა პოლიტიკოსები „ედისონ რისერჩისა“ და „გორბის“ კვლევებს?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით, „ედისონ რისერჩმა“ პარტიების რეიტინგის კვლევა ჩაატარა, რასაც პოლიტიკოსების მხრიდან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მთავრობაში აცხადებენ, რომ კვლევა გაყალბებულია, რადგან ტვ „ფორმულას“ მიერ გამოქვეყნებულ „ედისონ რისერჩის“ კვლევაში პოლიტიკური პარტიების რეიტინგის ჯამი ჯერ 102% იყო, ხოლო ჩასწორების შემდეგ 101% გახდა

საპასუხოდ ტვ „იმედმა“ 14 ნოემბერს გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელიც „იმედის“ დაკვეთით, „გორბმა“ ჩაატარა.

კვლევის შედეგები სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ერთი და იმავე შეკითხვაზე „დღეს რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას“, „ედისონ რისერჩის“ კვლევაში „ქართულ ოცნებას“ 37% აქვს, „გორბის“ კვლევაში - 55%, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შედეგი 20%-ია. „გორბის“ მონაცემებით, პარლამენტში მხოლოდ ორი პარტია „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ შედის, ხოლო „ედისონ რისერჩის“ კვლევით, 5%-იან ზღვარს ამ ორ პარტიასთან ერთად, გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ 21%-ით, ხოლო „ლელო“ 5%-ით გადალახავს.

ოპოზიცია მათთვის არადამაკმაყოფილებელი მონაცემების გამო, „გორბს“ უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ აღნიშნული კვლევა ყოველთვის არასანდოა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები ამ საკითხზე და რამდენად აქვთ მათ ნდობა აღნიშნული კვლევების მიმართ?

გენო თებიძე, „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის წევრი:

- ამ კვლევებიდანაც ჩანს, რომ დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში, საქართველოში ხელისუფლებას გადაიბარებს კოალიციური მთავრობა და ამისთვის პროდასავლურმა პარტიებმა უფრო მეტი უნდა ვიშრომოთ. როგორც იცით, ჩვენი ლიდერი მამუკა ხაზარაძე და „ლელოს“ საგარეო საქმეთა მდივანი გრიგოლ გეგელია იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჰქონდათ მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრები, ასევე, შეხვდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა, უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, გარბის ქვეყნიდან და 2024 წლის არჩევნებს იმედის თვალით უყურებს. ისინი ცალსახად აცხადებენ, რომ პროდასავლური ძალების გამარჯვების შემთხვევაში, დაბრუნდებიან სამშობლოში და თავიანთ შესაძლებლობებს მოახმარენ ამ ქვეყნის განვითარებას. ზოგადად, შიდა კვლევებით უფრო მეტი მხარდამჭერი გვყავს, ვიდრე ამ კვლევებით.

არჩილ სამნიძე, პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენელი:

- სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებას სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს კვლევების მიმართ, რადგან ხშირ შემთხვევაში, თვალშისაცემია გარკვეული ტიპის აფილაციები პოლიტიკურ პარტიებს, ტელევიზიებსა და კვლევებს შორის. ხშირად კვლევები მორგებულია ამა თუ იმ აქტორთა სურვილებსა და ინტერესებზე. ზოგადად, კვლევებს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს. კვლევა ნამდვილია და ზუსტად გადმოსცემს ადამიანების ნებასა და სურვილს მაშინ, როდესაც განსხვავებული აზრის დაფიქსირებით გამოწვეული შიშის ფაქტორი მოხსნილია. სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში ასე არ არის. ამიტომ კვლევის შედეგები ხშირადაა აცდენილი რეალობას, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებთ და სიღრმისეულად ვსწავლობთ კვლევის შედეგებს. რაც შეეხება კონკრეტულად ამ კვლევებს, ესეც და ბევრი სხვა ფაქტორიც, იქნება ეს თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, შიდა კვლევები თუ მოსახლეობის ზოგადი განწყობა, ცხადყოფს, რომ დღეს თუკი ვინმეს პოლიტიკურ ველზე სტაბილურად მზარდი რეიტინგი აქვს, ეს გიორგი გახარია და მისი პოლიტიკური გუნდია. ჩვენი პარტიის რეიტინგი ამ კვლევებში ჩამორჩება რეალურ სურათს, ის საბოლოოდ გაიზრდება არჩევნების შედეგებით. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ჩვენ საარჩევნო კამპანია არ დაგვიწყია. „გორბის“ კვლევა სასაცილოდაც არ გვყოფნის. შეუძლებელია ამაზე სერიოზულად ილაპარაკო. ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევას თვით ბიძინა ივანიშვილმა გამოუცხადა უნდობლობა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების I ტურში. დღეს „გორბი“ სჭირდებათ პროპაგანდისთვის. ერთადერთი ძალა, რომლისაც ასე ეშინია მმართველ პარტიას, გიორგი გახარია და მისი პოლიტიკური გუნდია.

რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:

- „ედისონ რისერჩის“ კვლევა არის უმნიშვნელოვანესი. განსაკუთრებით გამოვყოფდი პარტიულ რეიტინგს, სადაც 37 % ფიქრობს, რომ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს, „ენმ“-სა და „სტრატეგია აღმაშენებელს“ კი 21% აქვთ. ეს კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ ძალიან ბევრია სამუშაო იმისთვის, რომ ოპოზიციამ „ქართული ოცნება“ დაამარცხოს. ამ ერთი წლის განმავლობაში კოორდინირებულად უნდა ვიმუშავოთ, არ უნდა გვქონდეს არც ერთ პარტიას იმის ილუზია, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლას მარტო მოვიგებთ. ვფიქრობ, სავალდებულოა, ოპოზიციურმა პარტიებმა გააქტიურონ მოსახლეობასთან შეხვედრები. მოსახლეობის 60% ფიქრობს, რომ ცვლილებები არის საჭირო ამ ქვეყანაში, რასაც კვლევაც ადასტურებს. რაც შეეხება „გორბის“ გამოკითხვას - არ მგონია, დღეს 50%-იანი ბარიერი გადალახოს „ქართულმა ოცნებამ“ და არც ის, რომ მან შეინარჩუნოს ხელისუფლება, თუმცა ამ კვლევაში ჩანს, რომ ლიდერი ისევ „ოცნებაა“. „გორბის“ კვლევა არის მათი დაკვეთილი და შესაბამისად, სუბიექტურია. რეალობა არის გაცილებით სხვა, კვლევა კი სხვა რამეს აჩვენებს.

ნინო ცხვარაძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, მოძრაობა „ხალხის ძალა“:

- პირველ რიგში, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კანდიდატის სტატუსზე გაცემული დადებითი რეკომენდაცია მივულოცო საქართველოს და ქართველ ხალხს. დიახ, ეს არის ხელისუფლების დამსახურება, რომელმაც ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებით, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით მიაღწია იმ შედეგს, რაც გვაქვს. რაც შეეხება ბოლო დღეებში გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს, რომელიც „გორბმა“ ჩაატარა, სიმართლეს რომ შეესაბამება, ეს ჩემთვის აქსიომაა. დიახ, ქართველი ხალხი ენდობა მმართველ გუნდს და არა მოძალადე, ქვეყნის მოღალატე და ხელისუფლების რევოლუციური გზით ხელში ჩაგდების მსურველ ოპოზიციას. სათქმელია ისიც, რომ „გორბმა“ კვლევა ჩაატარა 8 ნოემბრამდე პერიოდში. ეს კვლევა დღეს რომ ჩატარდეს, დარწმუნებული ვარ, მმართველ გუნდს გაცილებით მეტი მხარდამჭერი ეყოლება. რაც შეეხება სხვა დანარჩენ კვლევებს, არ ვენდობი. ჩვენ არაერთი კვლევა გვახსოვს, რომელიც რეალობას იყო აცდენილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა მხოლოდ! მიკვირს კიდეც, რატომ ღელავს ოპოზიცია? 2024 წლის არჩევნები ხომ წინაა და რა რეიტინგიც აქვთ და რა შედეგიც ექნებათ, ვნახავთ. წიწილებს ხომ შემოდგომაზე ითვლიან.

„ავტორმა არ უნდა მოძებნოს მკითხველი, მკითხველი იპოვის ავტორს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ფრანგი ფილოსოფოსი და მეცნიერი რენე დეკარტი ამბობს, რომ კარგი წიგნების კითხვა წარსული დროის საუკეთესო ადამიანებთან საუბარია, თან ისეთი საუბარი, როდესაც ისინი თავიანთ საუკეთესო აზრებს გვიმხელენ

ლიტერატურას ყველა დროში ჰქონდა ადამიანების ცნობიერების, შინაგანი კულტურისა და სამყაროს გამრავალფეროვნების უდიდესი მისია. ის ყველა დროში იყო და რჩება სათქმელის გამოხატვის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად. ლიტერატურა გვაძლევს საშუალებას, ვიპოვოთ ისეთ კითხვებზე პასუხები, რომლებიც შეიძლება დიდი ხანია გაწუხებს. დღეს ლიტერატურა არაერთი გამოწვევის წინაშეა, ერთ-ერთი კი სოციალური სივრცეა, სადაც ადამიანებს დროის მცირე მონაკვეთში იმდენი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ, რომ ხშირად დროის კარგვად მიიჩნევენ სქელტანიანი წიგნების კითხვას. ადამიანების ნაწილს მიაჩნია, რომ ლიტერატურა ვეღარ სთავაზობს მათ რაიმე ახალს, განსხვავებულს, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ აღნიშნული შეხედულება ერთგვარი მცდელობაა წიგნის მნიშვნელობის გაუფასურებისა. მწერალი და ტელეწამყვანი ***ალექსანდრე (ჩე) ლორთქიფანიძე*** *მიიჩნევს, რომ ლიტერატურა, წიგნი კიდევ დიდხანს არ დაკარგავს აქტუალობას, მან შეიძლება ახალი ფორმები მოძებნოს მხოლოდ.*

- რა გამოწვევების წინაშეა დღეს ლიტერატურა? რა უნდა გააკეთოს მწერალმა, პოეტმა, დრამატურგმა, რომ ამბავმა, რომელსაც ყვება, კონკურენცია გაუწიოს თუნდაც სოციალურ ქსელებს, გაჯეტებს?

- მგონია, რომ ლიტერატურაში არის იგივე გამოწვევები, რაც, ზოგადად, საზოგადოებაში, ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესიდან გამომდინარე. იმდენად სწრაფად იცვლება კომუნიკაციის ფორმები, რომ ეს აისახება ლიტერატურაზეც. შესაბამისად, მგონია, აი, ამ გარდატეხის პროცესში ლიტერატურაც მოძებნის ახალ ფორმებს, მაგრამ მთავარია, არ დაკარგოს შინაარსი. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ისაა, რომ შეიძლება წიგნები აღარ იყოს ბეჭდური და იყოს ელექტრონული, შეიძლება ტექსტები აღარ იყოს გამოცემული და იყოს სოციალურ ქსელებში გაზიარებული (მიჭირს ამის წინასწარმეტყველება), მაგრამ ამ პროცესში მთავარია, არ დაკარგოს დედააზრი, შინაარსი, ინფორმაციული ფუნქცია. ვფიქრობ, კიდევ დიდი ხანი არ დაიკარგება ეს, რადგან ლიტერატურა ჯერ კიდევ იწვევს ცნობისმოყვარეობასა და ემპათიის განცდას ადამიანებში.

- რა გაძლევთ ამის იმედს?

- ადამიანის ბუნება. მგონია, ადამიანი ყოველთვის იქნება ცნობისმოყვარე და მგრძნობიარე, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ლიტერატურა არ დაკარგავს შინაარსს, უბრალოდ, შეიცვლის ფორმებს, როგორც შეუცვლია კიდევაც საუკუნეების განმავლობაში.

- ხშირად გაქვთ ურთიერთობა ახალგაზრდებთან თუნდაც გადაცემით „წიგნების თარო“. რამდენად ეთანხმებით უფროსი თაობის ფრაზას: „დღეს საერთოდ აღარ აინტერესებს ახალგაზრდას წიგნი“?

- ამ ნაწილში ძალიან იმედიანად ვარ განწყობილი, პირიქით, მგონია, ახალგაზრდები ძალიანაც ახლოს არიან წიგნთან. თუ ამას ვერ ვხედავთ, ეს უფრო საერთო ენის დაკარგვის ბრალია, ბოლომდე ვეღარ ვგრძნობთ მათ ინტერესებს, მათ ყოველდღიურობას. ვხვდები უამრავ ახალგაზრდას, ისინი არ არიან მხოლოდ წარჩინებული ბავშვები, კარგი მოსწავლეები... ვხვდები აბსოლუტურად ყველას და ვხედავ - მათი ინტერესები არის ბევრად ფართო მასშტაბის, ვიდრე, თუნდაც, ჩემი თაობისა იყო. მათ მიუწვდებათ ხელი უფრო მასშტაბურ ინფორმაციაზე, რასაც იღებენ სხვადასხვა ფორმით, დღეს - სოციალური ქსელებიდან, ხვალ - წიგნიდან, ზეგ - ფილმიდან და მაზეგ - ვიდეოთამაშებიდან. ის, რაც ჩვენს დროს მხოლოდ გასართობად მიიჩნეოდა, შეიძლება დღეს სასარგებლოც იყოს, ამიტომ მუდმივი ბრძოლაა თაობებს შორის. ფორმები რომ იცვლება, იქმნება წარმოდგენა, თითქოს ახალი თაობა ისე აღარ კითხულობს წიგნებს, სინამდვილეში ახალი თაობა ძალიან აქტიურად კითხულობს. უბრალოდ, შეიძლება, სხვა წიგნებს, სხვა ტემპში, სხვა დროს კითხულობს და არა იმ ფორმით და იმ მიდგომით, როგორც წინა თაობები, რაც, რა თქმა უნდა, ტრაგედია არ არის.

- როგორი წიგნი მოიპოვებს ხოლმე მკითხველის ნდობასა და სიყვარულს?

- წიგნი, რომელიც არ თამაშობს, არ იტყუება და არ ცდილობს, მკითხველის ემოციებით იმანიპულიროს. საერთოდ, მგონია, რომ მოზარდობა ის ასაკია, როცა ისინი სიცრუის დეტექტორივით მუშაობენ და ვერ გამოპარებ ტყუილს. მთელი სიზუსტით გრძნობენ ყველაფერს, ამიტომ უყვარდებათ ისეთი წიგნები, იქნება ეს ხარისხიანი თუ შედარებით უფრო კულუარული, მსუბუქი საკითხავი, მაგრამ გულწრფელი, სადაც ავტორი საუბრობს თემაზე შინაარსობრივად და გულახდილად.

- როგორია თქვენი შემოქმედების ხაზი ლიტერატურაში?

- პირველ რიგში, მგონია, ავტორი უნდა იყოს სუბიექტური და არა - პირიქით. მკითხველის დაკვეთაზე მორგებული კი არ უნდა იყოს, შინაგან დაკვეთას უნდა მოერგოს, უნდა იპოვოს თავისი მკითხველი. მე ვცდილობ, ვწერო იმაზე, რაც მაწუხებს, რაც გამომიცდია და რაზეც თუნდაც ვფანტაზიობ. არ ვიცი, ამას ეყოლება თუ არა მკითხველი, მაგრამ, როგორც წესი, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როდესაც ავტორი გულწრფელია, მართლა თავისას წერს და არ ცდილობს, ითამაშოს, თუნდაც მარკეტინგზე, ის პოულობს თავის მკითხველს. ავტორმა არ უნდა მოძებნოს მკითხველი, მკითხველი იპოვის ავტორს.

- რა ხდება თქვენთვის ინსპირაცია?

- სინამდვილეში, ფილტრაციის პროცესს გადის იდეები, შეიძლება, ყოველდღიურად ათასი იდეა გაგიჩნდეს. მე, როგორც წესი, როცა იდეა თავს არ მანებებს, ყოველთვის ვაცდი ხოლმე და ერთი კვირის, ერთი თვის მერეც თუ შემაწუხებს, შემომიჩნდება, მერე უკვე ვცდილობ, მოვიშორო, ვაქციო რაღაც ტექსტად, გავთავისუფლდე მისგან, თორემ არ მშორდება შეგრძნება, რომ ვალი მაქვს, აი, ამ იდეის...

- ხშირად, როცა რეჟისორებს ვუსვამთ კითხვას, რატომ არ დგამენ ქართული დრამატურგიიდან სპექტაკლებს, ამბობენ, რომ ქართული დრამატურგია არ იძლევა მრავალფეროვნების შესაძლებლობას. თქვენ რას იტყვით?

- ქართული დრამატურგია განვითარების ეტაპზეა. ნაწილობრივ ვეთანხმები რეჟისორებს, რაოდენობრივად მწირია, ჩემს თავსაც გავაკრიტიკებ ამაში, ძალიან ცოტას ვწერ. სრულმეტრაჟიანი სულ ორი პიესა მაქვს დაწერილი და ერთი უკვე ორჯერ დაიდგა და მეორე ახლახან დავასრულე. გამოდის, რომ არის მოთხოვნა. წლების განმავლობაში ქართულ დრამატურგიაში არ იქმნებოდა ახალი პიესები. საერთოდ, დრამატურგია არ იყო პოპულარული და ავტორები არ მუშაობდნენ ამ ჟანრში. იყო სულ რამდენიმე ადამიანი, რომელიც აღნიშნული მიმართულებით წერდა. ბოლო დროს უფრო განვითარდა, რამდენადაც თეატრები გააქტიურდა, კინოპროცესიც უფრო აქტიურია, შესაბამისად, მეტი იწერება და უფრო იმედიანად ვარ განწყობილი, რომ ამ მეტში მეტი კარგიც დაიწერება. მგონია, ხვედრითი წილი ქართული დრამატურგიისა უფრო და უფრო მოიმატებს ქართულ თეატრში.

- გთხოვთ, ჩვენი მკითხველისთვის დაასახელოთ სამი წიგნი და ფილმი, რომლებიც, თვლით, რომ სამაგალითოა და შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინოს ადამიანში.

- წიგნების შემთხვევაში, ყოველთვის ვახსენებ ხოლმე ჯორჯ ორუელის „1984“-ს. ეს არის პოლიტიკურად იმდენად მნიშვნელოვანი თემა, რომ უკვე საუკუნეებია, ინარჩუნებს აქტუალობას. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერალია უმბერტო ეკო. ტექნიკურად იმდენად სრულყოფილია ეკოს ლიტერატურა, რომ „ვარდის სახელს“ აუცილებლად დავასახელებ და აუცილებლად ვიტყვი „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც ჩემთვის სამაგიდო წიგნია დღემდე. რაც შეეხება ფილმებს, ანდრეი ტარკოვსკის მთელი ფილმოგრაფია შეიძლება დავასახელო იმიტომ, რომ კინოს მწვერვალია, ჩემი აზრით, და მათ შორის გამოვყოფ „სტალკერს“, რომელიც სრულყოფილია თავისი შინაარსით, ფილოსოფიით და კინოპროფესიონალიზმითაც. ასევე, შეიძლება დავასახელო მარტინ სკორსეზეს „ტაქსის მძღოლი“ იმიტომ, რომ თუ ეგზისტენციალიზმი ლიტერატურაში შეიქმნა კამიუს დროს, კინოში ეს არის ეგზისტენციალისტური და ყველაზე საინტერესო. დავამატებდი, ასევე, კინოში პოეტურ ენას, რაც კიდევ ცალკე მეთოდია, რომელიც ძალიან საინტერესოა, განსხვავებული თხრობის სტილია და ამიტომ ტერენს მალიკს და მის ფილმ „ცხოვრების ხეს“ ვახსენებ.

- ყველა სტუმარი, ვინც ჩამიწერია, განსაკუთრებული ემოციით საუბრობს ბათუმზე, ამბობენ, რომ ამ ქალაქს თავისი ხასიათით, ბუნებით, ფერებით, ურთიერთობებით სხვანაირი ემოცია მოქვს, მით უფრო - შემოქმედი ადამიანისათვის...

- ჩემთვის ბათუმი არის ქალაქი, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს საკუთარ თავთან. აქ შეგიძლია იყო მარტო და არ იყო მარტო... აქ შეგიძლია იყო სრულიად თავისუფალი ყველა დამატებითი მარწუხისგან, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა, ოღონდ ხაზს გავუსვამდი იმას, რომ ეს ეხება უფრო შემოდგომა-ზამთრის ბათუმს და ნაკლებად - ზაფხულისას. მე ბათუმი მიყვარს, როცა წვიმს და ცივა. საუბარს ბათუმელი პოეტის ვახტანგ ღლონტის სიტყვებით დავასრულებ: „ბათუმი არის წვიმა და არაფერი სხვა“.

„მთავარი მხოლოდ მსმენელია“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

რადიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ამ მედიასაშუალებამ განვითარების ბევრი ეტაპი განვლო და დღეს „ყუთს სიხშირეებით“, რომლიდანაც მხოლოდ ხმა ისმის, მტკიცედ უჭირავს თავისი ადგილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში

მეცნიერთა ნაწილი მას ტელევიზიასთან კონკურენციის პირობებში თუ სრულიად გაქრობას არა, მაუწყებლობის შემცირებას მაინც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ რადიო არათუ გაქრა, არამედ საკუთარი აუდიტორიაც შეინარჩუნა და ინტერნეტიც აითვისა მსმენელთან დასაკავშირებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, რადიო ახლა განვითარების ძალიან მაღალ საფეხურზეა და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებიც დილით სამსახურში მიდიან და არ აქვთ ტელევიზიით ინფორმაციის გაცნობის დრო. მხოლოდ ერთი პატარა ღილაკია საჭირო, რომ სამსახურში წასვლის პარალელურად, მანქანაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში მიმდინარე მოვლენებს გავეცნოთ, ამ ინფორმაციას კი რადიოჟურნალისტები გვაწვდიან და მათზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ჩვენი დღე და რანაირი განწყობით დავიწყებთ დღეს. მათი ხალისიანი მისალმება მსმენელისთვის კარგი განწყობის მომტანია.

დღეს ჩვენი რესპონდენტი ქალბატონი ***თამილა სურმანიძეა,*** *რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის „რადიო აჭარის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვან-რედაქტორი გახლავთ და ის უფრო კარგად ჩაგვახედებს რადიოს განსაკუთრებულ სამყაროში.*

- რადიოში თქვენი პირველი ნაბიჯები...

- საზოგადოებრივი მაუწყებლის „რადიო აჭარაში“ მუშაობა 2014 წლის აპრილში დავიწყე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რადიოში უკვე გამოცდილი ჟურნალისტი მოდიხარ 20-წლიანი სატელევიზიო სტაჟით. მანამდე აჭარის ტელევიზიის ახალი ამბების სამსახურში ვმუშაობდი. რადიო ხშირ შემთხვევაში სკოლის ფუნქციას ითავსებს და აქედან მიდიან შემდეგ ტელევიზიებში წამყვანებად, თუმცა ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა. როგორც კი შემომთავაზეს რადიოს საინფორმაციო გამოშვების წამყვანობა, მაშინვე დავეთანხმე მაუწყებლის ხელმძღვანელობას, რადგან „რადიო აჭარა“ და, ზოგადად, რადიო ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა. მეორე დღესვე პირდაპირ ეთერში აღმოვჩნდი. მაშინ რადიოს საინფორმაციო სამსახური აჭარის ტელევიზიისგან დამოუკიდებელი რგოლი იყო, ახლა კი ერთიანი ნიუსრუმის პრინციპით ვმუშაობთ. აქ მართლაც ოჯახური გარემოა და მოხარული ვარ, რომ ამ დიდი ოჯახის წევრი გავხდი.

- თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ თქვენი პირველი რადიოეთერი?

- პირდაპირი ეთერი... ეს იყო საოცარი შეგრძნება. მანამდე სატელევიზიო ეთერში ხმის ჩაწერა ჩემთვის ყოველდღიური რუტინა იყო, თუმცა საუკუნეს მიახლოებული რადიოს პირდაპირი ეთერი, ესოდენ საპასუხისმგებლო, თან აჩქარებული პულსით, მინდა გითხრათ, ნამდვილად არ იყო იოლი.

- რა განსაკუთრებული პიროვნული მახასიათებლებით უნდა გამოირჩეოდეს რადიოწამყვანი?

- უპირველეს ყოვლისა - ხმის ტემბრით, გამართული მეტყველებით, კითხვის კულტურით, აკადემიურობითა და, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმით. კიდევ ერთს დავამატებ - ინტონაციის სწორად გამოყენებით. მსმენელი ენდობა შენს ნაამბობს, სიტყვას, რაც ზრდის პასუხისმგებლობას.

- პროფესია პიროვნებას თავისებურად გარდაქმნის და თავიდან ბოლომდე გვავალდებულებს, ვიყოთ მისი ნაწილი. რადიოჟურნალისტობამ საკუთარ თავში რა თვისება აღმოგაჩენინათ ან პირიქით - რისი დათმობა მოგიწიათ?

- მოგეხსენებათ, რადიოს საინფორმაციო გამოშვება საათში ერთხელ გადის პირდაპირ ეთერში, რაც გვავალდებულებს, მუდმივად ვიყოთ ახალი ამბების ეპიცენტრში, რათა მსმენელს დროულად მივაწოდოთ დაბალანსებული, ობიექტური და განახლებული ინფორმაცია. რადიომ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, თავდაჯერებულობა შემმატა.

- როგორც ცნობილია, ყოველდღიურ სინამდვილეზე წარმოდგენა გვექმნება ხედვითი და სმენითი შთაბეჭდილებების უწყვეტი ერთიანობით, აქედან გამომდინარე, რადიოს და ტელევიზიას განსხვავებული სპეციფიკა აქვს. გაქვთ თუ არა რაიმე თქვენეული „ხრიკი“, რითაც მსმენელის ყურადღების მიქცევას ადვილად ახერხებთ?

- კი, რა თქმა უნდა. როგორც იცით, დრო და გამოცდილება გვძენს უფრო მეტ პროფესიონალიზმს და ჩემეული ე. წ. ხრიკი მინდა გითხრათ, ინფორმაციის შინაარსის მიხედვით, ინტონაციის ცვლილება გახლავთ. მაგალითად, თუ შსს-ს მიერაა გავრცელებული ინფორმაცია, უფრო დინამიკურად ვკითხულობ, თემა თუ ეხება კულტურას ან სხვას, შედარებით რბილი ტონალობით, შესაბამისად, იცვლება ინტონაციაც. ეს საქმე, რა თქმა უნდა, ყველასთვის ინდივიდუალურია.

- აჭარის მოსახლეობა სიახლეებს პირველად თქვენგან იგებს, როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი წარმატების მთავარი მიზეზი?

იხ. მე-7 გვ.

„რაც უფრო პატარა ასაკიდან არის ბავშვი ეკრანდამოკიდებული, მით მეტ პრობლემას ვაწყდებით“

21-ე საუკუნე რომ გაჯეტის გარეშე წარმოუდგენელია, ამაზე არავინ დავობს. პანდემიურმა წლებმა კი გაჯეტი საბოლოოდ დაამკვიდრა ყველა ოჯახში, რასაც ავტომატურად, ბავშვების ეკრანდამოკიდებულების პრობლემა მოჰყვა. გაღიზიანება, ძილის რეგრესი, სენსორული დარღვევები, გარშემომყოფებთან გართულებული ურთიერთობები... ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რაც ეკრანდამოკიდებულ ბავშვებს უვითარდებათ

რატომაა ეს საშიში და რა ალტერნატივა შეგვიძლია შევთავაზოთ ბავშვებს, ამაზე ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი ***თეა ხინთიბიძე*** *გვესაუბრა.*

- ქალბატონო თეა, რას ნიშნავს ეკრანდამოკიდებული ბავშვი?

- ბავშვი ეკრანდამოკიდებული არის მაშინ, როდესაც ეკრანისადმი ლტოლვა იმდენად დიდია, რომ დაკარგულია მისი ასაკობრივი ინტერესები. როცა მოთხოვნილება აქვს, რომ იყოს ეკრანთან, მისთვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს, რას უყურებს, აღარ აქვს მოტივაცია სხვა აქტივობებში ჩართვის, თანატოლებთან, მეგობრებთან ან სადმე წასვლის სურვილი, უჩრევნია თავისთვის მარტო უყუროს რაიმეს.

- რატომაა საშიში ბავშვების ეკრანზე მიჯაჭვულობა?

- ბავშვის განვითარება დაკავშირებულია მის აქტივობასთან, რაც ხელს უწყობს ტვინისა და ფსიქიკის განვითარებას. რაც უფრო პატარაა ბავშვი და მეტ დროს ატარებს ეკრანთან, მით უფრო ნაკლები დრო რჩება სამყაროს შემეცნებისა და სხვა აქტივობებისთვის, რაც, ხშირად, ბავშვის განვითარების 2-3-წლიანი ჩამორჩენის მიზეზიც კი გამხდარა. ადამიანი ერთადერთი ქმნილებაა, რომელსაც ჩამოსაყალიბებლად და აზროვნების განსავითარებლად გარშემომყოფებთან კონტაქტი სჭირდება. რაც უფრო პატარა ასაკიდან ხდება ბავშვის ეკრანდამოკიდებულება, მით უფრო მეტ პრობლემებს ვაწყდებით შემდგომ წლებში. ხშირად ისინი არ რეაგირებენ სახელზე, არ სურთ არავისთან კონტაქტი. იწყება ქცევის სერიოზული დარღვევები, ტანტრუმები, მეტყველების პრობლემები, გაღიზიანება, ემოციების მართვის პრობლემები, მოგვიანებით უჭირთ სოციუმთან კავშირი. ასევე, საყურადღებოა, რომ ეკრანი ბავშვის სენსორულ განვითარებასაც არღვევს. ეკრანდამოკიდებული ბავშვი არც კი აქცევს ყურადღებას რას ჭამს, გაუაზრებლად იკვებება. ბავშვის განვითარების უმეტესი წილი მოდის შეხებაზე, ანუ სენსორულ განვითარებაზე. ასეთ დროს, ბავშვს ეკარგება უნარი, შეიგრძნოს საკვების სუნი, დააკვირდეს ფაქტურას, გემოს, გაარკვიოს, რა მოსწონს, რა - არა, რა შეგრძნება უჩნდება... როდესაც ეს ყველაფერი ავტომატურად ხდება, ხშირ შემთხვევაში, ზრდასრულობის დროს, შეიძლება სხვადასხვა სახის კვებით დარღვევებში გადაიზარდოს. არსებობს არაერთი კვლევა, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ეკრანდამოკიდებული ბავშვი, მით უფრო დიდი რისკია, ზრდასრულობაში დამოკიდებულების ფორმა უფრო ადვილად ჩამოუყალიბდეს, მაგალითად, ალკოჰოლიზმი, თამაშდამოკიდებულება, კვებითი ადექციები, წამალდამოკიდებულება და სხვა.

- რა ასაკამდეა კატეგორიულად აკრძალული ეკრანი?

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, 2 წლამდე ბავშვმა საერთოდ არ უნდა უყუროს არანაირ ეკრანს. 3-დან 5 წლამდე ბავშვებმა დღეში ნახევარი საათიდან 1 საათამდე უნდა გაატარონ ეკრანთან, ოღონდ - ჯამურად, ხოლო 6 წლიდან, ჯამურად, მაქსიმუმ - 2 საათი. 2 წლის ბავშვისთვის გამონაკლისის სახით დაიშვა ვიდეოზარით საუბარი, ანუ ცოცხალი კონტაქტი ნაცნობ ადამიანებთან, ოღონდ მშობლის ან უფროსის მეთვალყურეობით, 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კი მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო, ან შემეცნებითი ვიდეოების ყურება, ოღონდ აქაც მშობლები ან უფროსები უნდა იყვნენ ჩართულები. ისინი კომენტარის სახით უნდა ხსნიდნენ პროცესებს, რომ ბავშვისთვის გასაგები იყოს ყველაფერი. ეკრანთან ნებისმიერი კონტაქტი უნდა კონტროლდებოდეს.

- არის თუ არა განსხვავება გაჯეტებს შორის?

- გაჯეტებს შორის კარგი და ცუდი არ არსებობს, თუმცა ცუდსა და უარესს შორის თუ ავირჩევთ, შედარებით ნაკლებად საზიანოა ტელევიზორი, რადგან ტელევიზორის ყურებისას ბავშვს შეუძლია, პარალელურად, სხვა რაღაცით დაკავდეს - გადაადგილდეს, ადგეს, დაჯდეს, შორიდან სხვა რაღაცას შეავლოს თვალი, ანუ არ ეზღუდება არეალი. ხოლო რაც უფრო პატარაა გაჯეტი, მაგალითად, ტელეფონი, მთელი კონცენტრაცია და ფიზიკური მოქმედებაც მასზეა მიჯაჭვული.

- აქვს თუ არა მნიშვნელობა, რა ტიპის, შინაარსის მასალას უყურებს ბავშვი?

- რა თქმა უნდა. სწორედ ასაკის შესაბამისი უნდა იყოს მულტფილმი, ფილმი და სხვა. ამიტომაც აქვს ფილმებს, მულტფილმებს თუ ვიდეოებს ასაკის შეზღუდვის მითითება, ხოლო ჩვილს, 2 წლამდე ბავშვს არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს ეკრანთან. ეკრანის კადრები, ფერების სწრაფი ცვლა და სინათლე იმდენად ცუდ გავლენას ახდენს 2 წლამდე ასაკის ბავშვზე, რომ აქ შინაარსს აღარ აქვს მნიშვნელობა.

- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ამ პრობლემას?

- გადასაჩვევად, სასურველია, ბავშვს შეთავაზოთ ალტერნატიული აქტივობა - თამაში, ხატვა, გაფერადება, სპორტული აქტივობები, მშობლის მიერ წიგნის წაკითხვა, სათამაშოს ყიდვა და სხვა, თუმცა, რაც უნდა ძვირად ღირებული სათამაშო ვუყიდოთ ბავშვს და მასთან მარტო დავტოვოთ, ის მალევე დაკარგავს ინტერესს. ამიტომ, მთავარია, მშობლის კონტაქტი ბავშვთან, მასთან ერთად თამაში, სეირნობა, კოსტიუმირებული თამაშები, რომელიც, სხვათა შორის, ყველა ბავშვს მოსწონს. როცა გაუფართოვდება ინტერესები, მერე უკვე შეიძლება ეკრანის სწორად გამოყენებაზე ფიქრიც. შეიძლება მოკლე ვიდეოების ყურება, სადაც ბავშვები სხვადასხვა ნივთისგან რაღაცებს აკეთებენ. ხატვის ვიდეოებიც, ანუ ეკრანსა და რეალურ სამყაროს შორის რაღაც კავშირი რომ იპოვოს ბავშვმა.

- რა შემთხვევაშია სპეციალისტის ჩართვა საჭირო?

- როდესაც ბავშვისთვის ეკრანთან მოშორება ძლიერ ემოციურ ფონთან არის დაკავშირებული, განიცდის შფოთვას, ღიზიანდება და ასე შემდეგ, ეს არის ნიშანი, რომ უკვე ეკრანდამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ეს შეიძლება ნებისმიერ ასაკში გამოვლინდეს, თუმცა, ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად გამოიხატება. ხშირ შემთხვევაში მშობელი უკვე ვეღარ უმკლავდება ამას. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ სპეციალისტს. იგი სწავლობს სიტუაციას და მშობელს აჩვენებს გზებს, რა და როგორ გააკეთოს ასეთ სიტუაციაში. სპეციალისტის მიზანია, აღმოაჩინოს კონკრეტული პრობლემა, ანუ რა იწვევს ბავშვის ზედმეტ დამოკიდებულებას. ეს შეიძლება იყოს ფსიქოთერაპევტი, ქცევის თერაპევტი და სხვა.

- რა ასაკის ბავშვის მშობლები მიმართავენ სპეციალისტებს უმეტესად?

- ამ ეტაპზე მომართვიანობის რაოდენობა მეტია 7 წლამდე ბავშვების მშობლებისგან, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მაღალ ასაკობრივ ჯგუფში არ არის იგივე პრობლემა. რაცა ბავშვი უკვე სკოლაშია, ის სხვადასხვა აქტივობით, სასკოლო გაკვეთილებითაა დატვირთული და ასეთ დროს თუ რაიმე გამოკვეთილი და სხვა ფიზიკური პრობლემა არ არის, მშობელს არ უჩნდება აზრი, რომ ეკრანდამოკიდებულების გამო მიიყვანოს ბავშვი სპეციალისტთან. 7 წლამდე ასაკის ბავშვებში არსებული ეკრანდამოკიდებულება კი პირდაპირ ახდენს გავლენას განვითარების ისეთ უნარებზე, რაც თვალისთვის უკვე შესამჩნევია, მათ შორისაა მეტყველების დარღვევა. ამ სიმპტომს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბავშვი მოჰყავთ. ამის შემდეგ ირკვევა, რომ სხვა უნარები და მაჩვენებლებიც დარღვეულია, ეს ყველაფერი კი დროულად არის აღმოსაფხვრელი. წლამდე ბავშვებში ადვილად შესამჩნევია ის დარღვევები, რასაც იწვევს ეკრანდამოკიდებულება და მომართვიანობაც მეტია, ხოლო ზრდასრულ ბავშვებში ეს ყველაფერი უფრო ფსიქოლოგიური მდგომარეობის პრობლემებში გამოიხატება, რაც მშობლებს, სამწუხაროდ, საგანგაშოდ არ ეჩვენება.

- როგორ ფიქრობთ, რა გახდა საქართველოში ამ თემის მაპროვოცირებელი?

- ეს პრობლემა, სამწუხაროდ, მარტო საქართველოში არ არის. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ თავისთავად მოიტანა ეკრანის საჭიროება. საქართველოში ეს კიდევ უფრო დააჩქარა პანდემიის პერიოდმა, როდესაც ონლაინ რეჟიმში გვიწევდა ცხოვრება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში არაჯანსაღი გრაფიკია მთლიანად. გვიან ვიწყებთ სამუშაო დღეს, გვიან ვამთავრებთ, შემდეგ არ გვრჩება დრო ჯანსაღი ურთიერთობისთვის, ოჯახის წევრებთან ერთად სადღაც გასვლისთვის, ბავშვთან ერთად სხვადასხვა აქტივობით დაკავებისთვის და სხვა. სახლში გვიან მოვდივართ, სანამ მოვწესრიგდებით, უკვე ღამდება. ვფიქრობ, ბავშვებს აკლიათ სწორი ურთიერთობა. თუ რომელიმე ქვეყანას მივბაძავთ, გადმოვიღებთ მათ დღის რეჟიმს, სადაც სამუშაო დღე იწყება ადრე და შუადღისთვის სრულდება, ერთმანეთთან ურთიერთობისთვის და ჯანსაღი კომუნიკაციისთვის მეტი დრო დაგვრჩება.

- რას ურჩევთ იმ მშობლებს, რომლებიც მაინც არიან იძულებულნი, ბავშვი ეკრანთან დასვან?

- სასურველია, ეს პერიოდი არ იყოს უშუალოდ ძილის წინ, ასევე, გაღვიძებისთანავე. უნდა იყოს წინასწარ დათქმული კონკრეტული დრო, რომ ბავშვს გაუჩნდეს დროის შეგრძნება, იცოდეს, რომ ეს პროცესი დასრულდება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს მშობლის კონტროლის ქვეშ. სამწუხაროდ, უმრავლესობა არ იყენებს აპლიკაციებს, რომელიც ზღუდავს ბავშვისთვის მიუღებელი კონტენტის მიწოდებას და შეიძლება ბავშვი ცუდი შინაარსის ვიდეოზე შემთხვევით გადავიდეს. მშობელმა ბავშვს ამა თუ იმ ვიდეოს ყურებისას, სწორი კომენტარი უნდა გაუკეთოს, რომ ბავშვმა შინაარსი მარტივად გაიგოს.

თამარ ციცაგი,
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი

აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტით უკვე ოთხმა ბავშვმა ისარგებლა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოში აქონდროპლაზიის მქონე ბავშვების ახალი ისტორიის წერა უკვე დაიწყო - 14 წლის ზაკო, 13 წლის დაჩი, 14 წლის ნიკოლოზი და 4 წლის იოანე ის მოზარდები არიან, რომლებმაც 15 ნოემბერს იაშვილის სახელობის კლინიკაში პირველებმა გაიკეთეს აქონდროპლაზიის სამკურნალო პრეპარატ „ვოსორიდიტის“ ინიექცია

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტი, რომლის შემოტანასაც აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვების მშობლები თვეების განმავლობაში ითხოვდნენ, საქართველოშია, რომლის ქვეყანაში 2023-2024 წლების განმავლობაში ეტაპობრივად დანერგვისთვის ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ 10,5 მილიონი ლარის გამარტივებული შესყიდვა გამოაცხადა, მშობლებმა კი ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც პასუხისმგებლობა აიღეს სახელმწიფო პროტოკოლით გათვალისწინებულ მკურნალობაზე.

მოგეხსენებათ, „ვოსორიდიტის“ შემოტანას პერმანენტული საპროტესტო აქციები მოჰყვა მთავრობის ადმინისტრაციასთან. თავდაპირველად, მთავრობაში აცხადებდნენ, რომ აღნიშნული მედიკამენტის გამოყენებას დამატებითი კვლევები სჭირდებოდა, მშობლები კი ამბობდნენ, რომ დროის გაჭიანურება აღნიშნული მიზეზით შეცდომა იყო და თითოეული დღის დაგვიანება მათი შვილების ჯანმრთელობაზე აისახებოდა. აღსანიშნავია, რომ აქონდროპლაზიის დიაგნოზი ოფიციალურად 24 მაისს დაემატა იშვიათი დაავადებების სახელმწიფო პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „ვოსორიდიტის“ მოხმარებას, პირველ ეტაპზე, 6 ბავშვი დაიწყებს, რომელთაგანაც პირველმა ოთხმა, როგორც აღვნიშნეთ უკვე გაიკეთა ინიექცია, ორი კი მომდევნო კვირებში ჩაერთვება მკურნალობის პროცესში.

ცნობისთვის: *აქონდროპლაზია იშვიათი გენეტიკური დაავადებაა, რომელიც 25 ათას ბავშვში ერთს ემართება. აღნიშნული დიაგნოზი ბავშვის სიმაღლეში ჩამორჩენას იწვევს. დაავადებას, ასევე, არაერთი მიმართულებით ჯანმრთელობის გაუარესება ახლავს.*

„მასწავლებელს მოზარდის ცხოვრებაზე დიდი და სასიკეთო გავლენის მოხდენა შეუძლია“

ქეთევან ჩემია *სხალთის საჯარო სკოლის მასწავლებელია. ასაკოვანი ქალბატონი საკუთარი სურვილით დედაქალაქიდან აჭარის მთიანეთში წამოვიდა და დროის მოკლე მონაკვეთში მოსწავლეებისა და კოლეგების პატივისცემა დაიმსახურა. ქეთევან ჩემია ჟურნალისტიცაა.*

- ქალბატონო ქეთევან, საიდან - სადაო... რა გარემოებებმა განაპირობა, რომ სხალთის სკოლაში სამუშაოდ წამოხვედით?

- ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი და სწორედ ამ ნიშნით მიმიღეს სხალთის საჯარო სკოლაში. აქ დროებით ინგლისურის მასწავლებელი არ ჰყავდათ და, როგორც ამ ენაზე მოსაუბრეს, მთხოვეს, სპეციალისტის მოსვლამდე შემეთავსებინა ინგლისური ენის გაკვეთილები. მე და ჩემს აღსაზრდელებს გულწრფელად მოგვეწონა ერთმანეთი, მაგრამ მოვიდა ენის სპეციალისტი და მე „ჩამომალაბორანტეს“ - ინგლისურს აღარ ვასწავლი, მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლავართ. რაც შეეხება „ასაკოვანი“ რომ ვარ, ასე მგონია, ეს არ მამშვენებს და რამდენადაც ვახერხებ, „ვმალავ“, სანამ თავად ვერ მიხვდებიან, არავის ვუტყდები, რომ სამოცდაათი წლის ვარ. მართალია, რომ: „პირადი ნებით და სურვილით დედაქალაქიდან აჭარის მთიანეთში წამოვედი“, მაგრამ ბატონი თემურ შაინიძის და ქალბატონი ლელა აბაშიძის - ჩვენი სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის სურვილი რომ არ ყოფილიყო, მხოლოდ „ჩემი პირადი ნება“ ამ საქმეს ვერ უშველიდა, მოგეხსენებათ, „ასაკოვნებზე“ „ტაციაობა“ არ არის, არც ხულოს მუნიციპალიტეტში... გულწრფელი მადლობა მათ და კიდევ იმ მასწავლებლებს, ჩემთან გასაუბრებაში რომ მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის იყო ქალბატონი ნაზიბროლა მიქელაძეც - უკვე საყოველთაოდ ცნობილი პედაგოგი, „მასწავლებლის ეროვნული პრემიის“ მფლობელი. ამჟამად ამ ქალბატონის ოჯახში ვცხოვრობ, როგორც „საპატიო სტუმარი“. მოგეხსენებათ, ამისთვის მხოლოდ დიასახლისის სურვილი არ იკმარებდა, მთელი ოჯახი დათანხმდა ამ ქველმოქმედებას და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობას ვეუბნები მათ. გარწმუნებთ, სხვისადმიც რომ გამოეჩინათ მსგავსი მხარდაჭერა, მე მაინც ვაღიარებდი, რომ ქალბატონი ნაზიბროლა უკეთილშობილესი და ყველა სიკეთის ღირსი ქალბატონია. მადლობა ჩვენს განათლების სამინისტროს, რომ ნაზიბროლა სახელმწიფოს მაღალ ჯილდოზე წარადგინა და ხუთი ათეული წლის განმავლობაში გაწეული შრომა, მაღალი პროფესიონალიზმი შესაფერისად დაუფასა. ადამიანებთან ურთიერთობები რომ არ გამჭირვებია, ამაში ცოტა წილი ჩემს სადისერტაციო თემასაც მიუძღვის, რომელზეც ათწლეულები ვიმუშავე და რომელსაც ასე ერქვა: „მასწავლებლისა და უფროსკლასელების ურთიერთობის ფსიქოლოგიური ასპექტები“.

- როგორც ჟურნალისტს, ჩვენს კუთხესთან აქამდე რაიმე ურთიერთობა თუ გაკავშირებდათ?

- აფხაზეთი რომ დავტოვეთ, პედაგოგიური მუშაობის ოცი წლის სტაჟი უკვე მქონდა... მოგეხსენებათ, აფხაზეთის ლეგიტიმურმა მთავრობამ დევნილობაში, თბილისში განაგრძო საქმიანობა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აფხაზეთში დაბრუნებამდე ინარჩუნებენ სტატუსს და სამსახურს. პედაგოგებსაც, ასევე აფხაზეთში დაბრუნებამდე შეგვინარჩუნდა სტატუსი „პედაგოგი“, მაგრამ მთავრობისგან განსხვავებით, სამსახურები - არა, ანუ უხელფასოდ დავრჩით და აფხაზეთიდან დევნილობის პირველივე დღეებში, იმ დროისთვის ყველაზე პოპულარულ გაზეთებში, ჯერ „ქალთა გაზეთში“, შემდეგ მაშინდელი შსს-ს ცნობილ გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკაში“ დასაბეჭდად მივიტანე ჩემი ნაწერები და ოჯახის რჩენა ამ გზით გადავწყვიტე. შემდეგ საქართველოს რკინიგზის გაზეთი „ევრაზია-ექსპრესი“ დავაფუძნე. იყო რაღაც, არასწორად გათვლებით გამოწვეული შეცდომები და... მეუღლესთან ერთად რამდენიმე წელი საზღვარგარეთ ვიყავით, ამასობაში კი მასწავლებლობა შორს დამრჩა. 2022 წელს დავბრუნდი. როგორც ჟურნალისტს, საქართველოსა და საკმაოდ ბევრ ქვეყანაში მოგზაურობის გამოცდილება მაქვს, მაგრამ აჭარის მთიანი რაიონები ნანახი

არ მქონდა და ჩამოსვლისთანავე ჩემი პირველი შთაბეჭდილებების შესახებ დავწერე კიდეც წერილში: „მე ალისა ვარ და საოცრებათა ქვეყანაში ვცხოვრობ“. პოზიცია არ შემიცვლია.

- სხალთის ხეობა, მისი მასულდგმულებელი ადამიანები თავისებური თვისებებით გამოირჩევიან. ამაზე რას იტყვით?

- ზოგადად, ძალიან მიყვარს ადამიანები და მათ ნებისმიერ თავისებურებას, შეფარვით „ნაკლი“ რომ ჰქვია, ვღებულობ როგორც კანონზომიერებას, რადგან არც თავად გახლავართ „კანფეტი“. სხალთელებმა ჩემი მოსვლისთანავე დაინახეს ეს. ასე რომ, კარგად გვესმის ერთმანეთის.

- აფხაზეთი ყველა საღად მოაზროვნე ქართველის ტკივილია.

- ტკივილი ან გკლავს, ან გასწავლის მასთან ერთად ცხოვრებას.

- ბაბუშარა გამორჩეულად რჩება თქვენს მეხსიერებაში. რატომ?

- სწორად გამოთქვით - ბაბუშარა. „შარა“ მეგრულად „გზას“ ნიშნავს, „შერა“ - გიჟს. სოფლის სახელი ტოპონიმიკურად იშიფრება როგორც „ბაბუის გზა“ და ბაბუშარელები თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ მისი „ბაბუშერად“ მოხსენიებისას. ჩვენი სოფელი თავის დროზე აფხაზეთის ჭიშკარი იყო - იქ სოხუმის საერთაშორისო აეროპორტია, სადაც ომამდე, ლამის, ყველა ბაბუშარელი ვიყავით დასაქმებულები. აეროპორტის რადიოდიქტორი გახლდით. როცა ქარი დაუბერავდა, დიქტორის ხმა შორს მიდიოდა, ხანდახან, საკმაოდ მოშორებით, გულრიფშში ესმოდა ბებიაჩემს, რომელიც ხუმრობდა, ამას რას მოვესწარი, ბაბუშარიდან მისი დაძახილი აქ, ათ კილომეტრში მესმისო. აფხაზეთში ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი ცხოვრობდა. ზოგი უკვე წასულია ამქვეყნიდან, ზოგიც, საბედნიეროდ, კვლავ ამშვენებს ამ ცხოვრებას. ცხადია, ბაბუშარაში მცხოვრებთა დიდ ნაწილს პირადად ვიცნობდი და თავს უფლებას ვაძლევ, მათზე ვწერო, რადგან ხსოვნა და გარდასული დღეებისადმი პატივისცემის გამოხატვა ჩემი, როგორც ადამიანის და ჟურნალისტის უმთავრეს მისიად მიმაჩნია.

- თქვენი ბიოგრაფია დიდ და მოუნელებელ ტკივილებთანაა კავშირში...

- „გავრილოვის ღამეს“ დაპირისპირებული მხარეებიდან ვიღაცამ მძიმე, ბლაგვი საგანი პოლიციის ოფიცერ ჩემს შვილს შუბლში მოახვედრა და მძიმედ დაჭრა. შსს-მ ის და კიდევ ერთი დაჭრილი ოფიცერი დაუყოვნებლივ გადააფრინა თურქეთში. გაკეთდა ურთულესი ოპერაცია, ჩემს შვილს შუბლის არეში პლატინიუმის ჩასმა დასჭირდა... გვეგონა, გადავრჩით, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თავი იჩინა გაუსაძლისი თავის ტკივილების სინდრომით გამოხატულმა ტვინის უმძიმესმა დაავადებამ, რის შესახებაც კარგად იცოდა თავადაც, ისიც, რომ მისი დაავადება „მკურნალობას არა, მაგრამ მართვას დაექვემდებარებოდა“... როცა იგრძნო, ფსიქოტროპულებით მკურნალობის და მის „მართვად პაციენტამდე“ დაყვანის დრო მოახლოვდა, საკუთარი ნებით უარი თქვა ამგვარ სიცოცხლეზე. არც ერთ დონეზე საუბარში, არასდროს დამიმალავს, რომ ჩემი შვილის უსასტიკესი განაჩენი-განზრახვისთვის ხელი არ შემიშლია... მხოლოდ მისმა მეუღლემ გააპროტესტა, ოღონდ იცოცხლოსო, მაგრამ ერეკლე ჩხიკვაძემ - დედის დუმილით თანხმობას მიანიჭა უპირატესობა. ზუსტად არც მან და არც მე არ ვიცით, რამდენად მართლები ვართ ერთმანეთის წინაშე, ამიტომ ვიბრალებ, რომ ჩემი შვილის არჩევანს უცრემლებოდ პატივი ვეცი და მისი ურყევი სურვილის ერთგული დავრჩები სიკვდილამდე. ყველაფერ ამაზე, თუ უფალი ინებებს, წიგნიც შეიქმნება, სადაც ყველაფერი იქნება ნათქვამი და ყველა გაიგებს, რომ მე არ ვაზვიადებ და არც ვაჭარბებ - ერეკლე ჩხიკვაძე ჩვეულებრივებისაგან ძალიან განსხვავებული, უჩვეულო ადამიანი იყო...

- სხალთაში ჩამოსვლა რამდენადაა კავშირში ამ ტკივილთან?

- ვერ გეტყვით, რამდენად არის ამასთან კავშირში. უსაქმურობა არ მიყვარს. სურვილის შემთხვევაში, საქმეს ყოველთვის იპოვი. შარშან, საზღვარგარეთიდან ჩამოსვლისთანავე, გავაკეთე განაცხადი მასწავლებლობაზე. ბატონმა რაულ გულბანმა, სვანეთში მცირეკონტინგენტიანი კალის საჯარო სკოლის უკეთილშობილესმა დირექტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის და რუსულის (ეს ენა ჩემთვის მეორე მშობლიური ენა გახლავთ) მასწავლებლად მიმიღო და იმდენად შემიწყო ხელი, გამოცდა ჩავაბარე და სერტიფიკატი ავიღე. კალის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის კლებასთან ერთად კლასებიც შემცირდა და ერთი მასწავლებელი საკმარისი აღმოჩნდა, ამიტომ კვლავ სამუშაოს ძებნა დავიწყე. დანარჩენი უკვე იცით.

- დამოუკიდებელ საქართველოში მასწავლებლის როლი და ადგილი როგორ გესახებათ?

- განათლება სახალხო უნდა იყოს, სწავლა-სწავლების დონის ასამაღლებლად და ჯეროვანი ეფექტისთვის, მასწავლებლები და მოსწავლეები ხანგრძლივი დროით უნდა იყვნენ ერთად. დამეჯერება, მასწავლებლობის იმდენი წლის გამოცდილება მაქვს. დაბეჯითებით ვამბობ - ნებისმიერი საგნის მასწავლებელს მოზარდის ცხოვრებაზე დიდი და სასიკეთო გავლენის მოხდენა შეუძლია, თუ მიუშვებენ მოსწავლემდე. ჯერჯერობით, ეს ასე არ არის, სამწუხაროდ.

- ღღიურებს წერთ, რამდენიმე სქელტანიანი რვეული სავსე გაქვთ. მათ, ალბათ, „სხალთის ღღიურებიც“ დაემატება. სკოლა, მოსწავლეები, სხალთელთა კულინარია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია რა ადგილს დაიჭერს ოდიშელი ქალბატონის ნაფიქრალ-ნააზრევში?

- მე მეგრელი ვარ. თქვენ, ალბათ, „ოდიშელში“ მეგრელს გულისხმობთ. იდიშელებთან ისრაელში მიცხოვრია და მათ შორის, ღვთის წყალობით, მეგობრები მყავს. ოდიშში - სამეგრელოში არ მიცხოვრია, მაგრამ მიყვარს, როგორც ნებისმიერ კოლხს მისი „ოდაბადე“... ყველაფერ იმის დაწერა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ძნელია. ნელ-ნელა, სიფრთხილით და ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერი გაკეთდება, რადგან ვხედავ, უფალი ჩემს წაყვანას, მიუხედავად ჩემი უზომო სურვილისა, არ ჩქარობს.

- ადამიანები, რომლებმაც თქვენი რთული ცხოვრების გზაზე თანადგომა არ მოგაკლეს?

- ჩემი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც არ დაიზარეს და მხარი დამიჭირეს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, ვინმე გამომრჩეს, ვიცი, ისინი ჩემი სულის ნაწილები არიან და დიდსულოვნად მაპატიებენ, მადლობა ამ შეკითხვისთვის. ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს მათზე საუბარი, ამიტომ გეტყვით: აფხაზეთის დატოვების შემდეგ პირველი გაზეთი, სადაც ვთანამშრომლობდი და პირველი ჰონორარი მომცა, იყო ქალბატონი ცირა კუპატაძე, „ქალთა გაზეთის“ მაშინდელი მთავარი რედაქტორი. შემდეგ იყო ბატონი გიორგი სანადირაძე - მაშინდელი შსს-ს გაზეთების „კრიმინალური ქრონიკის“, „სრულიად საიდუმლოდ“, მოგვიანებით „შავი დოსიეს“ მთავარი რედაქტორი, ცნობილი მწერალი. შემდეგ იყო ნანა ლომაია - იმ დროს რამდენიმე გაზეთის მთავარი რედაქტორი, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილ გაზეთ „გაუხმაურებელი ფაქტების“ მფლობელი. უნიჭიერესი ჟურნალისტი ნანა ლომაია ამჟამად ჩვენი ქვეყნის პარლამენტში მუშაობს. ჩემი უსაყვარელესი ამ ადამიანის მხარდაჭერას და გვერდში დგომას ამჟამადაც ისე ვგრძნობ, როგორც იმ შორეული 30 წლის წინ; დაუვიწყარია ბატონი თამაზ დგებუაძის გულისხმიერება. ის თავის დროზე ტრანსპორტის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი იყო... აქ შევჩერდები, სიტყვა ისედაც გამიგრძელდა.

- ხმა დაირხა, სხალთას ტოვებსო. რამდენად სიმართლეა?

- ხანდახან „ახირებები“ მაქვს და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება და დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანა მახასიათებს. ერთ-ერთი ასეთი „შემოტევის“ დროს მივიღე წასვლის გადაწყვეტილება, მაგრამ „მთიან რეგიონში დასაქმებული მასწავლებლებისთვის ხელფასის მომატების“ იმედმა შემაყოვნა. ვნახოთ, რამდენი ხნით... თბილისიდან ხულოში სამუშაოდ ჩამოსვლა იმდენად სასიამოვნო მოვლენა გამოდგა ჩემთვის, „ახირებების“ დაუყოვნებლივ შესრულებები „დავამუხრუჭე“... იქნებ, ასაკმაც განსაზღვრა. ყოველ შემთხვევაში, რაც მკითხეთ, ამ ეტაპზე სიმართლე არ არის... ხელფასს არც ახლა ვუჩივი, „ჩამოლაბორანტებით“ გამოწვეული ზარალის ანაზღაურება კი ნაზიბროლა მიქელაძის ოჯახმა გადაწყვიტა.

- რაზე ოცნებობთ?

- უბრალო ქალი ვარ და ჩემი ოცნებებიც ჩემნაირია. მიუწვდომელზე არაფერზე ვოცნებობ და თუ ვიოცნებე, ავიხდენ კიდეც.

ფესტივალი „თოფუზი“ – გეგელიძეებში

ქედაში, სოფელ გეგელიძეებში, ფრიდონ და ზაზა ხალვაშების ხელოვნების სივრცეში, ანიმაციური ფილმების საბავშვო ფესტივალი „ექო თოფუზი“ გაიმართა

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლასთან“ არსებული სტუდიის „ანიმაციის დამამზადებელი საამქროსა“ და ადგილობრივი საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ფესტივალის ფარგლებში აჩვენეს თანამედროვე ქართული ანიმაციური ფილმები, გაიმართა ანიმაციური ფილმწარმოების ინტერაქტიული ვორქშოფი.

ფესტივალი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის „კულტურის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„კიბო განაჩენი არ არის! თუ გავიმარჯვე მე, აუცილებლად გაიმარჯვებ შენც!“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„სიმსივნე“, „კიბო“, „ქიმიოთერაპია“ - აღნიშნული სიტყვები ძალიან აშინებთ ადამიანებს, ფიქრობენ, რომ ეს დიაგნოზი უკვე ნიშნავს სიკვდილს, ჯანმრთელობის გაუარესებას, თუმცა, ექიმები გვეუბნებიან, რომ კიბოს სახეობათა უმრავლესობა, რომელიც ადრე უკურნებლად ითვლებოდა, დღეს მკურნალობას ექვემდებარება და სავსებით შესაძლებელია, ადრეულ სტადიაზე მათი აღმოჩენის შემთხვევაში თითქმის ყველა ადამიანი სრულად განიკურნოს

*დღეს გაზეთ „აჭარას“ ძუძუს კიბოზე გამარჯვების საკუთარ მაგალითზე ბათუმელი **ქეთი შანთაძე** ესაუბრა.*

- პირველ რიგში, გვიამბეთ თქვენი ისტორია. როგორ აღმოაჩინეთ, რომ ძუძუს კიბო გქონდათ? რა გახდა ექიმთან მისვლის წინაპირობა? როგორი იყო განცდები დიაგნოზის გაგების შემდეგ და როგორ მოახერხეთ საკუთარ თავში ძალის გამონახვა, რომ გაგემარჯვათ აღნიშნულ დაავადებაზე?

- მოგესალმებით. პირველ რიგში, მადლობას გიხდით, რომ მომეცით საშუალება, ღიად ვისაუბრო ამ თემაზე. ჩემი ექიმთან ვიზიტის წინაპირობა იყო თვითგასინჯვა. ერთ-ერთი თვითგასინჯვის დროს აღმოვაჩინე

მკერდში სიმაგრე და დაუყოვნებლივ მივმართე ექიმს. ექიმთან ვიზიტის შემდეგ ყველაფერი გასაგები იყო, უკვე ჩანდა, რასთანაც გვქონდა საქმე. მადლობას ვუხდი ჩემს უძვირფასეს ექიმს, ბატონ თეიმურაზ გოგიტიძეს - სწორი დიაგნოზი გამოჯანმრთელებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია. პირველი, რაც განვიცადე, იყო უსაზღვრო შიში. ზუსტად ერთ წუთში დადგა სამყარო თავდაყირა. პირველი შოკი როგორც კი გადავლახე, საკუთარ თავს ვუთხარი, ქეთი, შენ ამას შეძლებ!.. და მას შემდეგ ერთხელაც არ მიტირია! გავიკეთე ძუძუს კანქვეშა მასტექტომია, ოპერაციის შემდეგ კი ქიმია... ნამდვილად რთული იყო ამ ყველაფერთან შერკინება, დამცვივდა თმა, მოვიმატე წონაში. სულიერი სიმძიმე რას ნიშნავდა, მაშინ მივხვდი. სარკეში იყურები და საკუთარ თავს ვერ ცნობ, ფსიქოლოგიურად ყველაზე რთული გასაძლები ეგ იყო, მაგრამ არ შემიძლია არ ვისაუბრო თანადგომაზე. ასეთ დროს თანადგომა ყველაზე დიდი ძალაა. ჩემი შვილების, მეუღლის, მშობლებისა და მეგობრების წყალობით, დავიჯერე, რომ მე ძვირფასი ვარ, მე ყველას ვჭირდები, მე ყველას ვენაღვლები. აი, ეს იყო ჩემი გამარჯვების ფორმულა. მათი სიყვარული მაძლიერებდა და ნამდვილად ვერ მივცემდი საკუთარ თავს დაცემის უფლებას. ახლა, განვლილ გზას რომ ვუყურებ, შვებით ამოვისუნთქებ ხოლმე. აი, ამისთვის ღირს ბრძოლა, რომ სიამაყით საკუთარ თავს ვუთხრათ, დიახ, შენ ეს გამოგვიდა, შენ გაიმარჯვე.

- თქვენ თქვენი სიძლიერით, ბრძოლისუნარიანობით არაერთი ქალისთვის გახდით მაგალითი. რას ეტყვით დღეს მათ, ვინც თუნდაც შიშის გამო არ მიდის ექიმთან ან მათ, ვინც უკვე იცის, რომ აღნიშნული დიაგნოზი აქვს?

- შიშის გამო არავითარ შემთხვევაში არ გადადოთ ექიმთან ვიზიტი. სწორედ, დროული დიაგნოზირებით შევძელი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა. პაციენტებს კი ვეტყოდი, რომ ზუსტად მაშინ აქვს ბრძოლას აზრი, როცა მარცხისთვის ხარ განწირული. დიახ, გეტკინებათ, დიახ დაიღლებით, მაგრამ მარცხი არ განიხილება. არავინ უნდა მისცეს კიბოს გამარჯვების უფლება, რადგან კიბო განაჩენი არ არის! მე მჯერა, რომ თქვენც შეძლებთ. ჩვენ ყველანი ღვთის რჩეულები ვართ, ყველას გვაქვს ამ განსაცდელთან გამკლავების ძალა, მთავარია, ირწმუნოთ, რომ თქვენც გაქვთ სიცოცხლის უფლება.

- რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ სკრინინგს, რათა თავიდან ავიცილოთ ძუძუს კიბოს განვითარების საფრთხე?

- ჯანმრთელობაზე ზრუნვა უნდა იქცეს ჩვევად, რეგულარული თვითგასინჯვა და სკრინინგის კულტურის ჩამოყალიბება ყველას შეგვინარჩუნებს სიცოცხლეს, ჩვენი სიცოცხლე ხომ ჩვენს ხელშია. ზუსტად დროული სკრინინგით შემინარჩუნდა სიცოცხლე. წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, დროულად რომ არ მივსულიყავი ექიმთან.

- იყო ძლიერი, ნიშნავს...

- იყო ძლიერი, ეს დაახლოებით იგივეა, რომ იყო ქალი... ქალი ყველაზე ძლიერი არსებაა ამ სამყაროში!

„ერთი გული - პალესტინისთვის“

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მეუღლე ემინე ერდოღანმა 15 ნოემბერს, სტამბოლში, დოლმაბაჰჩეს სასახლის პრეზიდენტის სამუშაო ოფისში, სამიტს უმასპინძლა თემაზე „ერთი გული - პალესტინისთვის“, რომელსაც 14 ქვეყნის პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურების მეუღლეები და სპეციალური წარმომადგენლები ესწრებოდნენ

პირველმა ლედიმ დამსწრეთ სიტყვით მიმართა. საინფორმაციო საშუალებების „ტრტ“-სა და საააგენტო „ანადოლუს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ემინე ერდოღანმა პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურების მეუღლეები მიიწვია, რათა ისინი „ღაზასთვის ხმა გამხდარიყვნენ“.

„მე ვიწვევ სახელმწიფოს მეთაურების მეუღლეებს, რათა გახდნენ ღაზაში მოკლულთა ხმა, გახდნენ მათი ხმა, ვის ხმასაც ახშობენ და ვისი გაჩუმებაც სურთ, სანამ მასობრივი ხოცვა გრძელდება. ღაზისა და საერთაშორისო პრესის წარმომადგენლებო, ჯანდაცვის მუშაკებო, როცა საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მათ დაცვაზეა პასუხისმგებელი, წარუმატებელია, სანამ ცეცხლის შეწყვეტა არ გამოცხადდება, სადაც არ უნდა ვიყოთ, რაც ხელთ გვაქვს, ყოველგვარი საშუალებით, მოდით, გავუფრთხილდეთ იმათ, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად კაცობრიობის დაცვის სადარაჯოზე იმყოფება. ახალ, საჯარო სივრცედ გადაქცეულ სოციალურ მედიაში ყველამ ერთად, მორიგეობით გავაგრძელოთ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის, მშვიდობისა და ჰუმანიტარული დახმარებისკენ მოწოდება. ცალ-ცალკე ყველას - ძლიერი, ერთად კი კიდევ უფრო ძლიერი ხმა გვაქვს. მათთვის და მსოფლიოსთვის, დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტის მოწოდებით გავერთიანდეთ. მოდით, ვაქციოთ ეს შეხვედრა პალესტინაში მშვიდობის ინიციატივად სიტყვებიდან მოქმედებაზე გადასვლით“, - აღნიშნა თურქეთის პირველმა ლედიმ.

ბათუმში ახალი ცენტრი ამოქმედდა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სერვისებზე ხელმისაწვდომობა იზრდება. ბათუმში მედიაციის, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ, მისმა მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა და სააგენტოს უფროსმა ლადო ხელაძემ გახსნეს

ბათუმში ბენეფიციართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტური მომსახურებისა და მედიაციის შეხვედრების ჩატარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი და შესაბამისი საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული.

სააგენტოს რეგიონული შესაძლებლობების გაფართოება ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფ და რთული ქცევის მქონე 14 წლამდე არასრულწლოვნებს, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პირებს და ყოფილ პატიმრებს, ადგილზე მიიღონ მომსახურება, რომელიც მათში დანაშაულის გააზრებას, პროსოციალური უნარების განვითარებასა და საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

დანაშაულის პრევენცია და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული, არასაპატიმრო ფორმების დანერგვა იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებაა.

„მთავარი მხოლოდ მსმენელია“

მე-4 გვერდიდან

- წარმატების მთავარი მიზეზი გახლავთ, ალბათ, ის პასუხისმგებლობა, რაც მსმენელის წინაშე მაკისრია. სანდოობის მოპოვება, ზოგადად, დღევანდელ მედიაგარემოში, დამეთანხმებით, არ არის იოლი და წარმატების მიღწევაში ის შრომა გვეხმარება ჟურნალისტებს, რასაც ნამდვილად არ ვიშურებთ. სტუდიის კარს რომ მივხურავ, ყველანაირი პრობლემა და უარყოფითი ყოველთვის მავიწყდება, მაშინ მთავარი მხოლოდ მსმენელია.

- რა ფუნქცია აკისრია რადიოს თანამედროვე მედიის განვითარებაში?

- თანამედროვე მედიის განვითარებაში, მოგეხსენებათ, რადიო უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ინტერნეტი, სოციალური ქსელები ინფორმაციის მიწოდების და გავრცელების კუთხით მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომია და რადიოს გაციფრულებაც, ამ მხრივ, ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

- რა როლს ასრულებს რადიო 21-ე საუკუნეში?

- კარგია, რომ 21-ე საუკუნეში რადიო ვითარდება და არ კარგავს თავის ფუნქციას, იყოს მოთხოვნადი. ძირითადად, ადამიანები ტრანსპორტით გადაადგილებისას და ინტერნეტის საშუალებით გვისმენენ. დღეის მდგომარეობით, რადიო რამდენიმე პლატფორმაზე მაუწყებლობს, რაც მის ხელმისაწვდომობას ზრდის.

- რადიომ განვითარების მრავალი ეტაპი განვლო. ახალი ამბებისა და გართობის ძირითადი წყაროდან ციფრულ მედიად ჩამოყალიბდა. თქვენ განსაკუთრებით რომელ ეტაპს გამოარჩევდით და რატომ?

- ასე მგონია, რადიოს თავისი ერთგული მსმენელი ყველა ეტაპზე ჰყავდა. ამასთან, „რადიო აჭარა“ ერთ-ერთი განსაკუთრებული მედიასაშუალებაა, რომელიც ყველა დროის უნიკალურ საარქივო მასალას ინახავს. წინათ სამთავრობო არხი იყო და სულ სხვა სპეციფიკით მუშაობდნენ ჩემი კოლეგები, ახლა უკვე რამდენიმე წელია, რაც „რადიო აჭარა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსს ატარებს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა უფრო მეტად მოქალაქეების მიმართ გვაკისრია.

- 21-ე საუკუნეში, როცა ტექნოლოგიური განვითარების უმაღლეს ეტაპზე ვართ, რადიო ისევ აქტუალურია თანამედროვე მრავალფეროვან მედიალანდშაფტებში და კვლავ რჩება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთ გამორჩეულ წყაროდ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ გესახებათ რადიოს მომავალი?

- მჯერა, ჩვენი უხუცესი რადიო ყოველთვის იდგება ხალხის სამსახურში და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იგი თავის ნიშას თუ მოდურობას არასდროს დაკარგავს, მე კი ბედნიერი ვარ, რომ ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ასე ძალიან მიყვარს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/11/23, 17 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სალონურ საღამოს გამოჩენილი მოჭიდავე სტუმრობდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში, სალონურ საღამოზე - „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ არაერთი ტიტულის მქონე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ღირსების ორდენოსანი, საერთაშორისო ტურნირების ხუთგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბლაგიძე იმყოფებოდა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში დაიბადა. მამა ორი წლისას გარდაეცვალა, მერე ბაილეთში, დედულეთში გადაიყვანეს, ღარიბად ცხოვრობდნენ, ექვს წლამდე აჭარაში მამიდასთან, სოფელ გულებში იზრდებოდა, მერე ისევ დედულეთში წაიყვანეს. სულიკო დიასამიძე იყო მისი ბიძა, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენებს - მან ბიჭუნას პირველი ველოსიპედი აჩუქა.

ჭიდაობა მეშვიდე კლასიდან დაიწყო. ვარჯიშზე მისასვლელად, თითქმის ყოველდღიურად, ფეხით (იქით-აქეთ) 24 კილომეტრს გადიოდა. შრომა რომ არ იკარგება, მოგვიანებით, მისმა შედეგებმა აჩვენა...

დღემდე სპორტის სიყვარულით ცხოვრობს. ახლაც ხშირადაა მოჭიდავეებთან და ამბობს, რომ ეს ურთიერთობა სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

პირველი წარმატება რაიონში იზეიმა, ჭიდაობის დროს ფეხი მოიტეხა, მაგრამ არც შეიმჩნია, შეხვედრა გააგრძელა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. მერე საქართველოს ჩემპიონი გახდა და საქართველოს ნაკრებშიც აიყვანეს...

საღამოს მისი არაერთი თაყვანისმცემელი ესწრებოდა. სპეციალურად ამ დღისთვის გამოჩენილი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი თემურ ყაზარაშვილი ჩამოვიდა, რომელმაც დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა ბატონ ვახტანგთან გატარებული წლები.

- ვახო ჩემზე უფროსია, მაგრამ დიდი ხანია ვმეგობრობთ, ოჯახებითაც. ერთად გავიარეთ არაერთი წელი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის ნაკრებებშიც ერთად ვიყავით, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ვერცერთ მსოფლიო ჩემპიონატზე ერთად ვერ ვიჭიდავეთ. ვახო უდიდესი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და მოჭიდავეებისთვის სულ მაგალითად მოჰყავდათ. 1980 წელს მისი ტრიუმფი შედგა. მაშინდელი ფინალური შეხვედრა ყველას ახსოვს, რომელიც 19:1 მოიგო... სასწაული ილეთები აკეთა, მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, - თქვა თემურ ყაზარაშვილმა.

საღამოზე რამდენიმე ვიდეო აჩვენეს, რომლებზეც მისი ბრწყინვალე შეხვედრები იყო აღბეჭდილი.

საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწე ჯემალ არობელიძემ აღნიშნა, რომ მოსკოვის ოლიმპიადას ესწრებოდა, რომელზეც ვახტანგ ბლაგიძემ, ქეთევან ლოსაბერიძესა და შოთა ხაბარელთან ერთად, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მისივე თქმით, ვახტანგ ბლაგიძე ლეგენდარული პიროვნებაა - ის ყველა სინჯის მედალს ფლობს, მისი ცნობილი ილეთი დღესაც ახსოვთ.

- ჩემთვის პატივია, ვიცნობდე მას, რადგან ოლიმპიური ჩემპიონი ქვეყანას ბევრი არ ჰყავს და თან ასეთი, რომელსაც თითოეული ნაბიჯი ღირსეულად აქვს გადადგმული. ვახტანგი სპორტიდან არ წასულა, მას მსოფლიოს მოჭიდავეთა სამყაროში დიდი ავტორიტეტი აქვს და როცა მაღალი რანგის ტურნირებს ესწრება, ეს ნიშნავს, რომ იქ ქართველი მოჭიდავე არ დაიჩაგრება. ის დღემდე გადასცემს ჩვენს სპორტსმენებს თავის გამოცდილებას. დიდია მისი წვლილი ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატებებში, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

- მადლობა მას დიდი ღვაწლისთვის, შრომისთვის, ადამიანობისთვის... ის ყველა თაობისთვის ბრძოლის, თავდადების, თავგანწირვის ნათელი მაგალითია. ის ჩვენი ღირსებაა და სიცოცხლეში უნდა მოვეფეროთ და დავაფასოთ, - თქვა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯემალ წულუკიძემ.

- წარმატებები, რომლებსაც მიაღწია, სიტყვით შეიძლება გადმოსცე, მაგრამ ამის უკან დიდი შრომაა. ის უდიდესი პიროვნებაა, რომ არსებობდეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ადამიანებთან ურთიერთობისთვის, მას აუცილებლად მიანიჭებდნენ. ჩემთვის ასეთი უბრალოებაა სწორედ მისაბაძი, მადლობა მას დიდი ღვაწლისა და ამ ადამიანობისთვის, - აღნიშნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა მერაბ ქიძინიძემ.

ვახტანგ ბლაგიძეს გულთბილად მიმართეს ჭიდაობის სფეროს წარმომადგენლებმა, მათ შორის მწვრთნელმა ავთანდილ აბულაძემ, აჭარის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ანზორ ლაზიშვილმა, მოჭიდავეებმა გელა ბოლქვაძემ, შმაგი ბოლქვაძემ, ლერი აბულაძემ, აჭარის ჩოხოსანთა თავკაცმა თენგიზ თავდგირიძემ და მას სპორტის ცოცხალი ლეგენდა უწოდეს. საღამოზე ითქვა, რომ ვახტან ბლაგიძის შესახებ სატელევიზიო ფილმი შეიქმნება.

შეხვედრაზე არაერთი დოკუმენტური კადრი ვიხილეთ, სადაც ვახტანგ ბლაგიძის არაჩვეულებრივი ბრძოლები და გამარჯვებებია ასახული. მისი ჭიდაობის სტილი იმდენად ლამაზი და ტექნიკური იყო, რომ „სოიუზსპორტფილმმა“ სპეციალური სასწავლო ფილმიც კი გადაიღო - ქართველის ფანდებს ჭიდაობით დაინტერესებულ ახალგაზრდა სპორტსმენებს სამაგალითოდ უჩვენებდნენ და დღესაც უჩვენებენ.

ვახტანგ ბლაგიძემ მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს, სტუმრებს და აღნიშნა, რომ კვლავაც გვერდით დაუდგება ახალგაზრდებს.

მხატვრობა, როგორც სულის თერაპია...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ბრუნვა წრეზე“ - ასე ჰქვია ირინე ჩუტკერაშვილის პერსონალურ გამოფენას, რომელსაც აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეამ უმასპინძლა

როგორც მხატვარი ამბობს, ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, შერეული ემოციებითაა სავსე. სიხარული და სევდა, სიყვარული და სიძულვილი, ომი და სტაბილურობა - ყველაფერი ერთად ქმნის განწყობას, რომ წრეზე ბრუნავ, საიდანაც ხშირად თავის დაღწევა რთული გეჩვენება. თუმცა მაინც არ ჩერდები, რადგან ზუსტად იცი, რომ მხოლოდ მოძრაობაშია გზა ხსნისა, საკუთარი სათქმელის რაღაც ფორმით გამოხატვაში, რათა დაიცალო, გათავისუფლდე და მოემზადო ახალი მიგნებებისათვის. მხატვრის შემოქმედებაში, იქნება ეს თავისუფალი კომპოზიცია, აბსტრაქცია, ნატურმორტი თუ პორტრეტი, ჩანს პროტესტი, ირონია, თვითირონია, რაც ხაზს უსვამს შემოქმედის თვითმყოფადობას და განსხვავებულ ხელწერას, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისუფლებაა. როგორც ირინემ გვითხრა, ბავშვობიდან ხატავს და მხატვრობა მისი ერთგვარი თავშესაფარია. იგი ხშირად მოგზაურობს საოცარ სამყაროში და „უკან დაბრუნებულს“ უჩნდება განცდა - „ნუთუ ეს შესაძლებელი იყო?“. ბათუმის სიყვარულზეც განსაკუთრებული ემოციით გვესაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ქალაქი შემოქმედი ადამიანისთვის შთაგონების უდიდესი წყაროა, იგი მუდმივად გიბიძგებს ახალი შთაბეჭდილებებისკენ, თავგადასავლებისკენ, საკუთარი თავის ახლებურად დანახვისკენ.

- მხატვრობას ვუყურებ როგორც გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, გულზე მოხვედრილ, ხანდახან სასიამოვნო, ხანდახან უსიამოვნო ისრებს. ის, რასაც მკარნახობს გარემო, რასაც განვიცდი და ჩემზე მოქმედებს, მინდა, ადამიანებს გავუზიაროო. არის მომენტები, როცა ვერ რჩები საკუთარ თავთან მარტო და ვერ ხატავ, მაგრამ მალევე გიჩნდება უკმარობის შეგრძნება. ხატვა ჩემთვის სულის თერაპიაა, სტრესის მოხსნის უებარი საშუალება და ამ ყველაფრის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება. ხატვის პროცესი სხვა განზომილებაა ჩემთვის, ხანდახან იმდენად სხვა სამყაროში აღმოვჩნდები, რომ მიკვირს, ნუთუ იქ ვიყავი, ვიმოგზაურე, ვნახე, განვიცადე? მხატვრობა ჩემთვის რუტინული ცხოვრებისგან გაქცევის საშუალებაა. სადაც მართალია ყველაფერი, იქ ნამდვილად არ არის ნათელი ფერები, მაგრამ ის, რაც შენია, ყოველთვის გაძლევს ძალას, სირთულეების მიუხედავად, ფეხზე წამოიმართო და განაგრძო ცხოვრება. მინდა რამდენიმე სიტყვით ჩემს წილ ბათუმზეც გესაუბროთ. იგი ჩემთვის ბავშვობიდან უსაყვარლესი ქალაქია და ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. ბათუმი ხშირად გამხდარა ჩემი ინსპირაციის წყარო, რამდენიმე ნამუშევარი მაქვს კიდევაც მიძღვნილი ბათუმსა და ბათუმელებზე. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც გამოფენაზე მოვიდა და ემოციების ზღვა მაჩუქა. მადლობა მუზეუმს, - გვითხრა ირინე ჩუტკერაშვილმა.

მხატვრის შემოქმედებაზე გაზეთ „აჭარასთან“ პოეტმა ბელა ქებურიამ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნახა საოცარი ფერის, სულის, აზროვნების შემოქმედება, რომელიც განსაკუთრებული ემოციებით ყვება მხატვრის შინაგან სამყაროზე და იმ ტკივილებზე, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება.

- გამოფენა, რომელიც დღეს ვნახე, ერთგვარად, კათარზისივითაა. განცდას ტოვებს, რომ სინათლის ტალღაა, რომელიც მთელ სხეულში დაგივლის, შენგან წაიღებს ყოველგვარ უარყოფითს, ამაღლებულ განწყობას მოგიტანს, დაგაფიქრებს, აგაღელვებს, დაგამშვიდებს, მრავალფერი ემოციებით აგავსებს. დღევანდელი გამოფენა ქალბატონი ირინესთვის არის ზეიმი, ფოიერვერკი, რადგან ბათუმმა გულში ჩაიხუტა და ის სიყვარული აგრძნობინა, რასაც ნამდვილად იმსახურებს, - გვითხრა ბელა ქებურიამ.

გალერეაში წარმოდგენილ ნამუშევრებს შთამბეჭდავი უწოდა მხატვარმა ნინო გოგოლიშვილმა და აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც მხატვრისთვის, ირინე ჩუტკერაშვილის შემოქმედება ინსპირაციის წყაროა.

- ირინე არის მხატვარი, რომელიც ადამიანებს საინტერესო ემოციებს აღუძრავს. მისი ნახატები არასდროს იქნება მხოლოდ ინტერიერის დეკორაცია, რაც უმნიშვნელოვანესია თითოეული მხატვრისთვის. ვისურვებ, ირინეს შემოქმედებას მთელი საქართველო იცნობდეს. ის ისეთი დონის მხატვარია, აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სახელს არაერთ ქვეყანაში. ძალიან მინდა ირინესთვის ბათუმში გამართული გამოფენა გახდეს შთაგონების წყარო, რათა აქედან წასულმა არაერთი ტილო შექმნას ბათუმური ემოციით. დიდ წარმატებებს ვუსურვებ მას მომავალში, - გვითხრა ნინო გოგოლიშვილმა.

„ეთეროს“ ტრიუმფი გრძელდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმელ მსახიობ ეკა ჩავლეიშვილს ფილმში „შაშვი შაშვი მაყვალი“ შესრულებული ქალის როლისთვის კოტბუსისა და ბელფასტის კინოფესტივალებზე პრიზი გადაეცა. ელენე ნავერიანის აღნიშნულ ფილმს ასევე გადაეცა ეკუმენური ჟიურისა და „Cottbus to Cinema“-ს პრიზი

„მადლობა მინდა გადავუხადო ჟიურის წევრებს, ფილმის რეჟისორს, პროდიუსერებს, მთელ გადამღებ ჯგუფს თავდაუზოგავი შრომისა და სიყვარულისთვის. ყველა პრიზი, რაც აქამდე მიმიღია და იმედია, მომავალშიც მივიღებ, ეძღვნება ჩემს ქალიშვილებს. უღრმესი მადლობა ყველას სიყვარულისა და კეთილი სურვილებისათვის“, - აღნიშნა პირად სოციალურ გვერდზე ეკა ჩავლეიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ აქამდე ფილმმა მოიგო მთავარი პრიზი სარაევოს კინოფესტივალზე, ეკა ჩავლეიშვილის მიერ შესრულებული ეთეროს როლი კი საუკეთესოდ დასახელდა სარაევოსა და ბელფასტის კინოფესტივალებზე.

უმნიშვნელოვანესი სიახლეა ისიც, რომ რამდენიმე დღის წინ ეკა ჩავლეიშვილი საუკეთესო მსახიობი ქალის კატეგორიაში ევროპული კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტი გახდა. გამარჯვებული 9 დეკემბერს გამოვლინდება.

გაზეთი „აჭარა“ მომავალშიც არაერთ წარმატებას უსურვებს მსახიობს.